



სოციალიზაცია

1. შესავალი (რა არის სოციალიზაცია)
2. სოციალიზაციის მიმდინარეობა
3. სოციალიზაციის ბიოლოგიური და კულტურული კონტექსტი
4. სოციობიოლოგია, ბიოლოგიური გენი და კულტურა
5. პიროვნების განვითარების თეორიები
6. სოციალიზაცია, როგორც უწყვეტი პროცესი
7. სოციალიზაცია, როგორც პასუხი კრიზისზე და მუდმივი ზრდა
8. ზრდასრულთა სოციალიზაცია, რესოციალიზაცია
9. სოციალიზაციის აგენტები
10. სოციალიზაცია: ერთი პროცესი თუ რამდენიმე?

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

სოციალიზაცია, ღირებულებები, ნორმები, ბიოლოგიური და კულტურული კონტექსტი, სოციობიოლოგია, ბიოლოგიური გენი, კოგნიტური განვითარება, ზრდასრულთა სოციალიზაცია, „ორმოცწლიანთა კრიზისი“, პიროვნების შეცვლა, რესოციალიზაცია, სოციალიზაციის აგენტები, დეპრივაცია, ჰოსპიტალიზმი, სოციალიზაციის ფსიქოლოგია, ადაპტაციური და ევოლუციური მიდგომები.

შესავალი

1982 წელს ეკრანებზე გამოსულ პოპულარულ ფილმში „ოფიცერი და ჯენტლმენი“ რიჩარდ გირმა ახალგაზრდა ცინიკოსი, ზნეობრივი პრინციპების თითქმის არმქონე ადამიანის მეიოს, რომელმაც გადაწყვიტა მფრინავი გამხდარიყო, როლი ითამაშა. სამხედრო-საზღვაო ავიაციის სასწავლებლის დამთავრებისას მეიო არა მხოლოდ მფრინავი, არამედ ოფიცერი და თქვენ წარმოიდგინეთ ჯენტლმენიც კი ხდება.

მეიოს გარდაქმნა და გარდასახვა სოციალიზაციით წოდებული პროცესის შედეგს წარმოადგენს. სოციოლოგები სოციალიზაციას, როგორც ადამიანთა მიერ მათი სოციალური როლების შესატყვისი გამოცდილებებისა და სოციალური განწყობების ათვისებისა და დაგროვების პროცესს განმარტავენ.

რაც შეეხება მეიოს, მისი ახალი სოციალური როლი ძველისაგან თითქმის მთლიანად განსხვავდება. ნაცვლად იმისა, რომ უცერემონიოდ გადაუაროს ყველა იმათ, ვინც შემთხვევით მას გზაზე ეღობება, იგი იძულებულია გარშემო მყოფთა მიმართ ანგარიშის გაწევა ისწავლოს. მას უკვე აღარ შეუძლია გაიღვიძოს მაშინ, როდესაც მოესურვება, გაწმინდოს ფეხსაცმელები, როდესაც მოეპრიანება; ახლა იგი მის ახალ როლთან დაკავშირებულ სავსებით



განსაზღვრულ სტანდარტებს უნდა შეესატყვისებოდეს. სამხედრო მომზადების დროს მეიო გადის სოციალიზაციას, რომელიც მის ოფიცრად გადაქცევაზეა გათვლილი და მიმართული.

სამხედროებში სოციალიზაციის პროცესიც განსაკუთრებულია. ახალწვეულთათვის იგი გადახოტრილი თავებით, ფორსირებული მარშებით, დამამცირებელი მეტსახელებით იწყება; ყოველივე ეს მათ ინდივიდუალურობას და საკუთარი ღირსების გრძნობას ანგრევს. განუწყვეტელი და შეუსვენებელი თვალთვალი და მუშტრა, საერთო მოთხოვნილებებისადმი დაუმორჩილებლობის გამო მკაცრი სასჯელი მათში ხელისუფლებისადმი მოწიწებასა და პატივისცემას ნერგავს. სერჟანტს, რომელიც სამწყობრო მომზადებას მეთაურობს, შეუზღუდავი ძალაუფლება აქვს: ერთხელაც იგი უბრძანებს მეიოს კიბის საფეხურები კბილის ჯაგრისით გაწმინდოს. თუ ახალწვეულებს არ ძალუძთ დამლიონ ფიზიკური ვარჯიშები (მაგალითად, სირბილი წინააღმდეგობების დამღვეით), მაშინ მათ დედიკოს ბიჭებს, ქალაჩუნებს, დოყლაპიებს ან ბოთეებს არქმევენ (ერთადერთმა ქალმაც, რომელიც ფილმში ოფიცრის წოდების მისაღებად ემზადება, ვარჯიშები მამაკაცებზე ცუდად არ უნდა შეასრულოს თუ სურს სასწავლებლის დამთავრება).

მეიო მაინც ამთავრებს სასაწავლებელს და ოფიცრის წოდებას იღებს, მაგრამ მრავალმა მისმა თანაკურსელმა ეს ვერ შეძლო. სამხედრო-საზღვაო ფლოტის წესდების მოთხოვნები აბსოლუტურად ურყევია: ადამიანები, რომლებიც სტანდარტებს არ შეესატყვისებიან, სამხედრო სამსახურისათვის უვარგისნი არიან.

სამხედრო როლის სოციალიზაცია უფრო დიდ გამოცდილებას მოითხოვს, ვიდრე ჩვეულებრივი სამოქალაქო ცხოვრებისთვისაა აუცილებელი. მიუხედავად ამისა, ჩვენ ყველანი გარკვეული სოციალური როლების თამაშს ვსწავლობთ: ჩვენ ვსწავლობთ თავის დაჭერას იმ მოთხოვნილების შესაბამისად, რომლებიც წაეყენებათ ბავშვებს, სტუდენტებს, მოსამსახურეებს, მშობლებსა და ა.შ. რათა დავრწმუნდეთ სოციალური როლების ათვისების მნიშვნელობაში, წარმოვიდგინოთ ჩვენი ცხოვრება სოციალიზაციის გარეშე. რა მოხდებოდა, თუ ბავშვები გარემომცველი სინამდვილისა და ადამიანების ცოდნისა და მოლოდინების აღქმის უნარს მოკლებული აღმოჩნდებოდნენ? სწორედ ამგვარი რამ შეემთხვა ელენ კელერს, რომელიც ავადმყოფობის შედეგად ძალიან პატარა დაყრუვდა და დაბრმავდა. სმენასა და მხედველობას მოკლებული იგი იზრდებოდა როგორც ველური ცხოველი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მშობლები ენერგისა და მონდომებას არ იშურებდნენ მისი რეალიზაციისათვის. იგი სადილისას სხვადასხვა ადამიანების თეფშებიდან იტაცებდა საჭმელს. საქმე ჩხუბამდეც კი მიდიოდა, როდესაც საჭირო იყო დაბანა და სუფთა ტანსაცმლის ჩაცმა. ელენეს არ ჰქონდა სხვა ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, როდესაც მის ცხოვრებაში შემოვიდა მასწავლებელი ენი სალივანი. მასწავლებელმა მას ასწავლა ბრმების ანბანის კითხვა, და ელენმაც მოიპოვა და შეიძინა „ლაპარაკისა“ და „მოსმენის“ უნარი. ისწავლა გარემომცველ ადამიანებთან და



საგნებთან ურთიერთობა. საბოლოო ჯამში მან შეძლო თავისი სოციალური როლის ათვისება, და ელენის ქცევა ნორმალური გახდა, იგი მისი ასაკის ბავშვის ქცევებს შეესაბამებოდა.

სოციალიზაცია ათვისებული სოციალური როლების მეშვეობით ჩვენ გვადლევს არა მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობასა და უნარს. იგი აგრეთვე საზოგადოების შენარჩუნებას უზრუნველყოფს. თუმცა საზოგადოების წევრთა რაოდენობა მუდმივად იცვლება, რადგან ადამიანები იბადებიან და კვდებიან, სოციალიზაცია ადამიანთა მიერ საზოგადოებრივად აღიარებული იდეალების, ღირებულებების, ქცევის ნიმუშების ათვისების და შესწავლის მეშვეობით თავად საზოგადოების შენარჩუნებასა და არსებობას უწყობს ხელს.

ამგვარად, ჩვენ გავიგეთ, თუ როგორი სახით გვადლევს სოციალიზაცია ურთიერთშემოქმედების შესაძლებლობას და თაობათა ცვლის პროცესებში საზოგადოების არსებობასა და შენარჩუნებას როგორ უზრუნველყოფს. შემდეგში ჩვენ სხვადასხვა პირობებს , რომელთა დროსაც და რომელთა მეშვეობითაც სოციალიზაცია ხორციელდება და აგრეთვე საზოგადოების მიკრო და მაკრო დონეზე მის გავლენას განვიხილავთ.

სოციალიზაციის მიმდინარეობა

წარმატებული სოციალიზაცია სამი ფაქტორით: მოლოდინებით, ქცევის ცვლილებით და კონფორმიზისაკენ მისწრაფებით არის განპირობებული. წარმატებული სოციალიზაციის მაგალითად გამოგვადგება სკოლის თანატოლთა ჯგუფი. ბავშვები, რომლებიც ავტორიტეტის მოპოვებას ახერხებენ თანატოლთა შორის, ადგენენ ქცევისა და მოქმედების ნიმუშებს; ყველა დანარჩენი ან ასევე იქცევიან ან მისდამი მიბამვა სურთ.

რასაკვირველია, სოციალიზაცია არ ხორციელდება მხოლოდ თანატოლთა გავლენით. ჩვენ ასევე ვსწავლობთ ჩვენი მშობლებისაგან, მასწავლებლისაგან, უფროსებისაგან და ა.შ. მათი გავლენით ჩვენში ყალიბდება ის ინტელექტუალური, სოციალური და ფიზიკური უნარ-ჩვევები, რომლებიც ჩვენი სოციალური როლების შესასრულებლად აუცილებელია. რადაცნაირი ზომით ისინიც სწავლობენ ჩვენგან – სოციალიზაცია არ არის ცალმხრივი პროცესი. ინდივიდები მუდამ ეძებენ საზოგადოებასთან კომპრომისს. ზოგიერთი მოსწავლის ქცევა განსხვავდება ყველაზე გავლენიანი მოსწავლის მიერ დაწესებული ქცევის ნიმუშებისაგან. თუმცა მათ აბრაზებენ ამის გამო, ისინი მაინც უარს ამბობენ თავისი ქცევის შეცვლაზე. წინააღმდეგობას, პროტესტს, გამომწვევ ქცევებს ძალუძთ სოციალიზაციის პროცესს არაჩვეულებრივი ხასიათი მიანიჭონ. ამიტომ ბავშვთა სოციალიზაციის შედეგები მათი მშობლების, მასწავლებლების ან თანატოლების მოლოდინებს ყოველთვის არ შეესაბამებიან.



ზოგჯერ შესაძლოა ასეთი პროცესი საპირისპირო მიმართულებითაც კი შევცვალოთ. მაგალითად, ერთხელ სასექსის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფმა, რომელიც მემარცხენე შეხედულებებით გამოირჩეოდნენ, განაცხადა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტზე რევოლუციის თეორიისა და პრაქტიკის სალექციო კურსის შემოღება. დასაწყისში ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ უარყო ეს იდეა, მაგრამ შემდგომში გადაწყდა მხარი დაეჭირათ მისთვის. ამ შემთხვევაში სოციალიზაციის ნავარაუდევმა ობიექტებმა (ე.ი. სტუდენტებმა) გავლენა მოახდინეს სოციალიზაციის აგენტებზე (ე.ი. ფაკულტეტის ხელმძღვანელობაზე), დაარწმუნეს რა იმაში, რისი შესწავლაც პოლიტიკური აშლილობა – უწყსრიგობების პერიოდში აუცილებელია.

მიუხედავად ამისა, სოციალიზაცია განსაკუთრებულად მძლავრი ძალაა. კონფორმიზისაკენ მისწრაფება უფრო წესია, ვიდრე გამონაკლისი. ეს ორი მიზეზით: პირველი, ადამიანის შეზღუდული ბიოლოგიური შესაძლებლობებით და მეორე, კულტურის მიერ განპირობებული შეზღუდულობებით აიხსნება. არაა მნელი გავიგოთ, თუ რა გვაქვს მხედველობაში, როდესაც შეზღუდულ ბიოლოგიურ შესაძლებლობებზე ვმსჯელობთ: ადამიანს არ შეუძლია ფრენა, და არც მისი სწავლებაა შესაძლებელი. რამდენადაც ნებისმიერი კულტურა ქცევის განსაზღვრულ ნიმუშებს მრავალი შესაძლებელიდან ირჩევს, ამდენად იგიც ზღუდავს სოციალიზაციას, და ადამიანის ბიოლოგიურ შესაძლებლობებს მხოლოდ ნაწილობრივ იყენებს. მაგალითად, შემთხვევითი სქესობრივი კავშირები ბიოლოგიური თვალსაზრისით საკვებით შესაძლებელია, მაგრამ თითოეული საზოგადოება თავისი წევრების სპეციფიკურ ქცევას არეგულირებს.

სოციალიზაციის ბიოლოგიური და კულტურული კონტექსტი

ბიოლოგიური კონტექსტი

სამხრეთაფრიკული ჩიტი ფეიქარა (მქსოველა)ცხოველთა ბეწვისა და წკნელებისაგან გარკვეული ფორმის ბუდის შენების გენეტიკურად დაპროგრამებულ უნარს ფლობს. ჩატარდა საოცარი ექსპერიმენტი: ამ ფრინველის ხუთი თაობა მოკლებული იყო იმ მასალებს, რომლებსაც ჩვეულებრივ ბუდის ასაგებად იყენებდნენ. მიუხედავად ამისა, მეექვსე თაობის ჩიტებმა სხვადასხვა მასალების გროვისაგან შესაფერი წკნელები და ცხოველთა ბეწვი სწორად ამოარჩიეს და მათი სახეობისათვის დამახასიათებელი ნიმუშის მიხედვით მშვენიერი ბუდე ააგეს.

თუმცა ადამიანებს ისეთი გენეტიკურად გაპირობებული რეფლექსები ახასიათებთ, როგორცაა თვალის ხამხამი, ხელის ტაცება, წოვა, მაგრამ როგორც ჩანს მათ გენებში ქცევის რთული სახეები დაპროგრამებული არ არის. ისინი იძულებულნი არიან ჩაცმა, საკვების მოპოვება ან საკუთარი თავშესაფრის აგება ისწავლონ; ადამიანები არა მხოლოდ ქცევის



თანშობილ ნიმუშებს არ ფლობენ; ისინი ნელ-ნელა არსებობისათვის აუცილებელ ჩვევებს ითვისებენ. სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში ბავშვის კვება მთლიანად უფროსი ასაკის ადამიანების მხრივ ზრუნვაზეა დამოკიდებული. მამასადამე, ჩვილის არსებობა დამოკიდებულია იმ ზრდასრულ ადამიანებზე, რომლებიც მათზე ზრუნავენ. მათგან განსხვავებით მაიმუნების ნაშიერნი თვითონ მოიპოვებენ საკვებს დაბადებიდან სამი-ექვსი თვის შემდეგ. ამავე დროს ბავშვის უფროსებზე დამოკიდებულების ხანგრძლივი პერიოდი განვითარების თვალსაზრისით მათთვის სასარგებლოა. პატარები ითვისებენ უნარებს, მაგალითად, ლაპარაკის, საუბრის უნარს – რომელიც გაცილებით რთულია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ცოცხალი არსების ჩვევები.

კულტურული კონტექსტი

ყოველი საზოგადოება განსაზღვრულ პიროვნულ თვისებებს უფრო მეტად აფასებს, ვიდრე სხვებს, და ბავშვებიც ამ ღირებულებებს სოციალიზაციის წყალობით ითვისებენ. სოციალიზაციის მეთოდები იმაზეა დამოკიდებული, თუ სახელდობრ პიროვნების რომელი თვისებები იმსახურებენ მაღალ შეფასებას და სხვადასხვა კულტურებში ისინი შეიძლება ძალიან განსხვავებულიც კი იყოს. ამერიკულ საზოგადოებაში მაღალ შეფასებას ისეთი თვისებები იმსახურებენ, როგორებიცაა საკუთარ თავში დარწმუნებულობა, საკუთარი თავის ფლობის უნარი და აგრესიულობა. ინდოეთში კი ტრადიციულად საპირისპირო ხასიათის ღირებულებები: მჭვრეტელობითობა, პასიურობა და მისტიციზმი ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა. ამიტომ ამერიკელები სახელგანთქმულ სპორტსმენებს, ასტრონავტებს, ჟურნალ „fortune“ - ის მიერ განსაზღვრულ ხუთასამდე „წლის ადამიანს“ ჩვეულებრივ პატივისცემით ეპყრობიან. ინდოელებს კი ჩვევად აქვთ პატივისცემით მოექცნენ იმ რელიგიურ ან პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც ძალადობრივი მეთოდების წინააღმდეგ გამოდიან (მაგალითად, მაჰათმა განდი).

ეს კულტურული ღირებულებები სოციალური ნორმების საფუძველში დევს. როგორც ჩვენ გავიგეთ მეორე თავში, ნორმები ადამიანთა ინტერაქციების(ურთიერთქმედებათა) მმართველ მოლოდინებს (ექსპექტაციებს) და სტანდარტებს ეწოდება. ზოგიერთი ნორმა წარმოდგენილია კანონებში, რომლებიც კრძალავენ ქურდობას, სხვა ადამიანზე თავდასხმას, ხელშეკრულების დარღვევას და ა.შ. ასეთი კანონები სოციალურ ნორმებს წარმოადგენენ, ისინი, ვინც მათ არღვევს, ისჯება. განსაზღვრული ნორმები უფრო მეტად მნიშვნელოვან რაიმედ ითვლება, ვიდრე დანარჩენი: მკვლელობის ამკრძალავი კანონის დარღვევა უფრო საშიშია საზოგადოებისათვის, ვიდრე დაწესებული სიჩქარის გადაჭარბება; მაგრამ ნორმათა უმრავლესობა სრულებითაც არ არის ასახული კანონებში. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენს ქცევებზე მრავალი მოლოდინი ზემოქმედებს: ჩვენ თავაზიანობა უნდა გამოვიჩინოთ სხვა ადამიანებთან მიმართებაში; როდესაც ვესტუმრებით მეგობრის ოჯახს, საჭიროა საჩუქარი



მივართვათ მისი ოჯახის წევრებს. ავტობუსში ადგილი უნდა დავუთმოთ მოხუცებს და ინვალიდებს. ამავე მოლოდინებს ვუყენებთ ჩვენს შვილებსაც.

ადამიანების ქცევებზე არა მხოლოდ ნორმები ახდენენ გავლენას. დიდ გავლენას მათ ქცევებზე და მისწრაფებებზე მოცემული საზოგადოების კულტურული იდეალები ახდენს. გარდა ამისა, რამდენადაც ეს იდეები მრავალი იდეალის საფუძველზე ყალიბდება, ამდენად საზოგადოება თავიდან საყოველთაო ერთსახოვნებას იცილებს. მაგალითად, ჩვენ ღირებულად ვთვლით და ვაფასებთ მეცნიერებას, ამიტომ ალბერტ აინშტაინის სახელი მოწიწებითა და თაყვანისცემით სარგებლობს. ჩვენ(ამერიკელები) ასევე დიდად ვაფასებთ სპორტს და დიდ სპორტსმენს მაღალ სტატუსს ვანიჭებთ. საპირისპირო ხასიათის მქონე ღირებულებები შეიძლება თანაარსებობდნენ: ამერიკელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ცოდნის დაუფლებას მეცნიერების განვითარების სახელით და მხარს უჭერენ ისეთ ორგანიზაციებს, როგორებიცაა ეროვნული სამეცნიერო ფონდი; ამავე დროს ისინი თვლიან, რომ ცოდნამ პრაქტიკული სარგებლობა უნდა მოუტანოს საზოგადოებას, ამიტომ ისინი აპლოდისმენტებს არ იშურებენ, როდესაც სენატორები ოქროს საწმისის ორდენს გადასცემენ იმ მეცნიერთ, რომლებიც სწავლობენ და იკვლევენ ისეთ საგნებს, რომლებიც მათი აზრით, არც საინტერესოა და არც სასარგებლო.

ერთსახოვნების არ არსებობა ქცევებში გვიჩვენებს, რომ სოციალიზაცია თავისი არსით-ორმხრივი, სხვადასხვა მიმართულების მქონე პროცესია. ბიოლოგიურ და კულტურულ ფაქტორთა შორის, აგრეთვე იმათ შორის, ვინც სოციალიზაციას ახორციელებს და ვინც სოციალიზაციის ქვემდებარეა ურთიერთგავლენას და ზემოქმედებას აქვს ადგილი.

სოციობიოლოგია, ბიოლოგიური გენი და კულტურა

სოციობიოლოგია

ზოგიერთი სოციოლოგი თვლის, რომ თუმცა კულტურა გავლენას ახდენს ქცევებზე, ადამიანის ხასიათი მაინც ბიოლოგიური ფაქტორების საფუძველზე ყალიბდება. ადამიანის ბიოლოგიურ განვითარებასა და საზოგადოებაში მის ქცევას შორის ურთიერთკავშირის ბუნების განსაზღვრა ცხარე კამათის საგანია. ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, სოციობიოლოგები ვარაუდობენ, რომ გენეტიკური ფაქტორები უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ადამიანურ ქცევებზე, ვიდრე აქამდე ითვლებოდა კერძოდ, ისინი დაჟინებით იცავენ იმ აზრს, რომ ქცევის ტიპები აგრესიიდან ალტრუიზამდე შეიძლება გენეტიკურად იყოს განპირობებული.



სოციობიოლოგები და ზოგიერთი საზოგადოებათმცოდნე - მეცნიერი ე.წ. ადამიანური – ბუნების არსებობაში დარწმუნებულნი არიან. მათი თვალსაზრისის თანახმად, ესაა გენეტიკური მიდრეკილებების ან ტენდენციების ერთობლიობა, რომელიც მოცემული ადამიანს ქცევას განსაზღვრავს. მაგრამ მათ ადამიანური ნატურის შესახებ, მრავალი განსხვავებული აზრები გამოთქვას. ცნობილი სოციობიოლოგი ედმონდ ო. უილსონი ამტკიცებს, რომ გენები და ჰორმონები ჩვენს ქცევებზე როგორც მასტიმულირებელ, ისე შემაკავებელ ზემოქმედებას ახდენენ. როგორც სოციობიოლოგები თვლიან, ქცევაზე გავლენის მომხდენი თანშობილი მექანიზმების არსებობა – ევოლუციის ათასობით, თვით მილიონი წლების შედეგია. ასობით თაობების ცვლის პროცესში ხდებოდა იმ გენების მატარებელთა რაოდენობის ბუნებრივი გაფართოება და გაზრდა, რომლებიც ადამიანური გვარის გადარჩენას და გაძლიერებას ხელს უწყობდნენ. ამ პროცესის შედეგად თანამედროვე ადამიანის ქცევა გენეტიკურად განპირობებულ ქმედებებს მოიცავს, რომელთა მიზანშეწონილობა წარსული გამოცდილებითაა დამტკიცებული.

მაგალითად, პირველივე შეხედვით შეიძლება მოგვჩვენებოდა, რომ ალტრუიზმი, ანუ სხვებისთვის თავის განწირვა, არსებობისთვის ბრძოლას ხელს არ უწყობს, მაგრამ სოციობიოლოგები ამტკიცებენ, რომ ალტრუიზმი გენეტიკურად განპირობებულია, რადგან მოცემული სახის მთლიანობაში შენარჩუნებას ხელს უწყობს. დელფინები დახმარებას უწევენ თავიანთ დაჭრილ თანამომძმეს; ზოგიერთი ჩიტი თავის თავზე იპყრობს მტრის ყურადღებას, რათა დანარჩენებმა გაფრენა შეძლონ. რამდენადაც საყვარელ ადამიანებზე ზრუნვა ხელს უწყობს გვარის გაგრძელებას, ამდენად მიდრეკილება ალტრუისტული ქცევისადმი ჩვენს გენებში დამკვიდრდა და ფესვები გაიდგა.

როგორც სოციობიოლოგები თვლიან, ალტრუიზმი მრავალ გენეტიკურად განპირობებულ ქცევათა შორის ერთ-ერთია. უილსონის თანახმად, ადამიანური ნატურის ბიოლოგიური თავისებურებები, სხვებთან ერთად, სტიმულს აძლევენ ხორციანი საკვების მიღებას, ძალაუფლების სტრუქტურების შექმნას, სქესობრივი როლების სრულყოფას და საკუთარი ტერიტორიის დაცვას. ქცევის ზოგიერთი ტიპი, მაგალითად სისხლის აღრევა, არ სარგებლობს მოწონებით: საზოგადოებას რომ მოეწონებინა და გაემართლებინა ნათესაური ქორწინებები, საერთო გენეტიკური ფონდი დაზიანდებოდა.

ზოგიერთი სოციოლოგი სოციალური ქცევის სხვა სახეებსაც ანალოგიურად ხსნის. კონფლიქტი მშობლებსა და შვილებს შორის იმიტომ წარმოიშობა, რომ ყოველ ბავშვს სურს ისარგებლოს იმით, რასაც მშობლები ფლობენ. თავის მხრივ, მშობლები (რომელთა გენებიც მხოლოდ ნაწილობრივ არის ჩადებული თითოეულ ბავშვში), დაჟინებით ითხოვენ, რომ ყველაფერი გონივრულად გაიყოს, ამის შედეგად წარმოიშობა კიდევ დამაბულობა ოჯახში. ანდა, მეორე მაგალითი. სიყვარულის გრძნობა აახლოებს ქალსა და კაცს, რაც ზრდის იმის ალბათობას, რომ ისინი გაამრავლებენ შთამომავლობას. სქესობრივი აქტი განპირობებულია ოჯახის



გაფართოების მამაკაცური მოთხოვნით. ამიტომ, თუმცა სოციოლოგები აღიარებენ, რომ ათვისებულმა ქცევამ შეიძლება მრავალი გენეტიკური ფაქტორის გავლენა გადალახოს და რომ ადამიანთა გამოცდილება ძირითადად სწავლების (განსაკუთრებით ენისა და მათემატიკის სფეროში) საფუძველზე შეიძინება, მიუხედავად ამისა, ისინი დაჟინებით იცავენ იმ აზრს, რომ გენები ქცევათა ზოგიერთ სახეს როგორც სტიმულს აძლევენ, ისე ზღუდავენ და აკავებენ.

ეს თეორია მრავალმა მეცნიერმა გააკრიტიკა. მაშინაც კი, როდესაც ზოგიერთი ფიზიკური თავისებურება, მაგალითად, ფარული სიბრმავე (დალტონიზმი), ნამდვილად გენებთან არის დაკავშირებული, არ არსებობს სოციოლოგების ძირითადი პრინციპის დასაბუთება, რომელიც გენებს ქცევის ამა თუ იმ სახესთან აკავშირებს. გარდა ამისა, სოციოლოგები ყურადღებას არ აქცევენ ადამიანთა მიერ სიმბოლოების გამოყენებისა და ლოგიკური განსჯის უნარს, მაშინ, როდესაც ორივე ეს ფაქტორი მნიშვნელოვანი ზომით გავლენას ახდენს ქცევაზე.

სოციოლოგების გარშემო ატეხილი კამათი კულტურისა და ადამიანური ბუნების (ნატურის) ურთიერთდამოკიდებულების საკითხის თაობაზე არსებულ ძვლთაძველ პოლემიკას აგრძელებს. ზიგმუნდ ფროიდი ამტკიცებდა, რომ ცივილიზაციის მოთხოვნების თანახმად, ადამიანებმა უნდა ჩაიხშონ თავიანთი ბიოლოგიურად განპირობებული სექსუალური და აგრესიული ლტოლვები. საზოგადოების სხვა მკვლევარები, კერძოდ ბრონისლავ მალინოვსკი უფრო კომპრომისულ თვალსაზრისს გამოთქვამენ. ისინი თვლიან, რომ ადამიანური ინსტიტუტები შექმნილია ადამიანთა ლტოლვებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, ოჯახისა და ქორწინების ინსტიტუტები ეწევიან სექსის ლეგიტიმირებას (გამართლებას – დაკანონებას), მაშინ, როდესაც სპორტული ორგანიზაციები – აგრესიის დაკანონებას.

როგორც ყოველთვის ჭეშმარიტება სადღაც შუაშია. ბიოლოგია ნამდვილად ადგენს ადამიანური არსებებისათვის საერთო ჩარჩოებს, მაგრამ ამ ფარგლებში ადამიანები ძალიან მაღალ შემგუებლობას და მოხერხებულობას ავლენენ: ისინი ქცევის განსაზღვრულ ნიმუშებს ითვისებენ და ბიოლოგიური ფაქტორების გამოყენების ან გადალახვის სოციალურ ინსტიტუტებს, აგრეთვე ისეთ ინსტიტუტებს ქმნიან, რომლებსაც ამ პრობლემის კომპრომისული გადაწყვეტილების პოვნა ძალუძთ.

პიროვნების განვითარების თეორიები

ახლა, როდესაც სოციალიზაციის მამოძრავებელ ძალებზე ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნა, განვიხილოთ, თუ როგორ ხდება ეს პროცესი ინდივიდუალურ დონეზე. დავიწყოთ კითხვით: როგორ ვითარდება პიროვნება? ადამიანი ადამიანად, პიროვნებად ერთმანეთთან ურთიერთქმედების, ინტერაქციის პროცესში ყალიბდება. ამ ინტერაქციათა ხასიათზე მრავალი



ფაქტორი ახდენს გავლენას: ასაკი, ინტელექტუალური დონე, სქესი და წონა. მაგალითად, ჩვენს საზოგადოებაში ძალიან მოსწონთ ახოვანი და ტანკენარი აგებულების ადამიანები, ამიტომ ტანად ადამიანებს უფრო განვითარებული აქვთ საკუთარი ღირსების გრძნობა, ვიდრე მსუქნებს. გარემომცველ სინამდვილესაც ასევე შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს პიროვნებაზე: შიმშილობაში გაზრდილი ბავშვი, ჩვეულებრივად თანატოლებს ფიზიკურადაც და გონებრივი განვითარებითაც ჩამორჩება. დაბოლოს, პიროვნება მნიშვნელოვანი ზომით საკუთარი ინდივიდუალური გამოცდილების საფუძველზე ყალიბდება. კიდურების დაკარგვამ ადამიანში შეიძლება მუდმივი განგაში და შიში გამოიწვიოს; ერთერთი მშობლის უდროო სიკვდილი ინდივიდში ზოგჯერ სხვა ადამიანის შეყვარების შიშს იწვევს, რათა საყვარელი ადამიანი კიდევ ერთხელ არ დაკარგოს. პიროვნების ფორმირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია კულტურა: ჩვენ მშობლების, მასწავლებლების და თანატოლების გავლენით საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ კულტურას ვითვისებთ.

XIX და XX საუკუნეების გასაყარზე ფსიქოლოგებმა და სოციოლოგებმა მოგვცეს თეორიები რომლებიც გვიხსნიან, თუ როგორ ხდება სხვადასხვა ფაქტორების – ფიზიკური თვისებების, გარემომცველი სინამდვილის, ინდივიდუალური გამოცდილებისა და კულტურის – საფუძველზე განუმეორებელი პიროვნების ჩამოყალიბება.

ჩარლზ ჰორტონ კული და ჯორჯ ჰერბერტ მიდი

ჩ. კული მიიჩნევდა, რომ პიროვნება ადამიანის გარემომცველ სინამდვილესთან მრავალი ურთიერთქმედების საფუძველზე ყალიბდება. ამ ურთიერთქმედების პროცესში ადამიანები თავის „სარკისებურ მე“-ს ქმნიან. „სარკისებური მე“ სამი ელემენტისაგან შედგება:

იმისაგან, თუ როგორ აღგვიქვამენ ჩვენ სხვები (მე დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანები ყურადღებას აქცევენ ჩემს ახალ ვარცხნილობას).

იმისაგან, თუ როგორ რეაგირებენ იმაზე, რასაც ხედავენ (მე დარწმუნებული ვარ, რომ მათ ჩემი ვარცხნილობა მოსწონთ).

იმისაგან, თუ როგორ ვპასუხობთ ჩვენს მიერ აღქმულ სხვების რეაქციას (როგორც ჩანს, მე მუდამ ასეთ ვარცხნილობას გავიკეთებ).

ეს თეორია სხვა ადამიანების გრძნობებისა და აზრების ჩვენეულ ინტერპრეტაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამერიკელი სოციალური ფსიქოლოგი და სოციოლოგი ჯორჯ ჰერბერტ მიდი ჩვენი „მე“-ს განვითარების პროცესის ანალიზის საქმეში უფრო შორს წავიდა. როგორც კული, ისიც თვლიდა, რომ „მე“ არის სოციალური პროდუქტი, რომელიც სხვა ადამიანებთან ურთიერთობის საფუძველზე ყალიბდება. დასაწყისში, სულ პატარაობისას, ჩვენ არ ძალგვიძს



ავხსნათ სხვების მოქმედების მოტივები. ბავშვები იმით, რომ სწავლობენ თავიანთი ქცევის გააზრებას და გასაზრისიანებას, პირველ ნაბიჯებს დგამენ ცხოვრებაში. სწავლობენ რა თავის თავზე ფიქრს, მათ შეუძლიათ იფიქრონ სხვებზეც; ბავშვი იწყებს საკუთარი „მე“-ს გრძნობის შეძენას.

ჯ. მიდის აზრით, პიროვნების ფორმირების პროცესი სამ განსხვავებულ სტადიას მოიცავს. პირველია – იმიტაცია. ამ სტადიაზე ბავშვები ეწევიან უფროსების ქცევების მიბამვას ისე, რომ არ ესმით იგი. პატარა ბიჭს შეუძლია „დაეხმაროს“ მშობლებს იატაკის წმენდისას, დაატარებს რა იქეთ – აქეთ თავის სათამაშო მტვერსასრუტს, ან ჯოხსაც კი. შემდეგ მოდის თამაშების სტადია, როდესაც ბავშვები მოქმედების, ქცევის, როგორც გარკვეული როლის შესრულების გაგებას იწყებენ: მაგ. ექიმის, მეხანძრის, ავტომობილის და ა.შ. თამაშის პროცესში ისინი ამ როლებს იმეორებენ და კვლავ აწარმოებენ. თამაშობენ რა თოჯინებით, პატარა ბავშვები ჩვეულებრივ მათ ხან ალერსით, ხან გაჯავრებით, როგორც მშობლები ისე ელაპარაკებიან და პასუხობენ თოჯინების ნაცვლად ისე, როგორც ბიჭი ან გოგონა პასუხობს მშობლებს. ერთი როლიდან მეორეზე გადასვლა ბავშვებში ავითარებს უნარს, მისცეს თავის აზრებს და მოქმედებებს ისეთი საზრისი, როგორც მას საზოგადოების სხვა წევრები აძლევენ – ესაა თავისი „მე“-ს შექმნის პროცესში შემდეგი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

მიდის აზრით, ადამიანური „მე“ ორი ნაწილისაგან: „მე – თვითონ“ და „მე“ – ობიექტური“ – „I-აი“ და „Me“ ანუ „სუბიექტური მე“ - სა და „ობიექტური მე“ - საგან შედგება. „სუბიექტური მე“ (I-აი) ეს არის სხვა ადამიანებისა და მთლიანად საზოგადოებისაგან მომდინარე შემოქმედებებზე პიროვნების რეაქცია. „ობიექტური მე“ (Me) - ესაა ადამიანის მიერ მისთვის მნიშვნელობის მქონე ადამიანების (ნათესავების, მეგობრების) თვალსაზრისით საკუთარი თავის გაცნობიერება. „სუბიექტური მე“ (I) ისევე რეაგირებს „ობიექტური მე“-ს შემოქმედებაზე, როგორც სხვა ადამიანებიდან მომდინარე შემოქმედებებზე. მაგალითად, „სუბიექტური მე“ (I) რეაგირებას ვახდენ კრიტიკაზე და ვცდილობ მისი არსის გააზრებას; ზოგჯერ კრიტიკის გავლენით ჩემი ქცევა იცვლება, ზოგჯერ არა; ეს დამოკიდებულია იმაზე, ვთვლი თუ არა მე ამ კრიტიკას საფუძვლიან რაიმედ. „მე – თვითონ“ (I) ვიცი, რომ ადამიანები ჩემს „ობიექტურ მე“ - ს (Me) სამართლიან ადამიანად თვლიან, რომელიც მუდამ მზად არის ყური უგდოს სხვის აზრებს. უცვლიან რა როლებს ერთმანეთს თამაშის პროცესში, ბავშვები თანდათანობით იმუშავებენ საკუთარ „ობიექტურ მე“ - ს. ყოველთვის უყურებენ რა საკუთარ თავს რომელიდაც სხვისი თვალთ, ისინი საკუთარ თავზე არსებული შთაბეჭდილებების აღქმას სწავლობენ.

მესამე ეტაპი, მიდის მიხედვით, ესაა კოლექტიური თამაშების სტადია, როდესაც ბავშვები არა მხოლოდ ერთი ადამიანის, არამედ მთელი ჯგუფის მოლოდინების გაცნობიერებას სწავლობენ. მაგალითად, ბეისბოლის გუნდის თითოეული წევრი მთელი გუნდისა და ბეისბოლის ყველა მოთამაშისათვის საერთო წესებსა და სათამაშო იდეებს იცავს და მისდევს. ეს განწყობანი და



მოლოდინები ქმნიან რაღაც „სხვა“ - უსახო ადამიანის - „განზოგადებული სხვის“ სახეს, რომელიც საზოგადოებრივ აზრს განასახიერებს. ბავშვები საკუთარი ქმედებების გაცნობიერებას და შეფასებას „სხვების“ მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით იწყებენ.

ბეისბოლის თამაშის წესების დაცვა და მიდევნება ამზადებს ბავშვებს საზოგადოებაში იმ ქცევის წესების ასათვისებლად, რომლებიც კანონებსა და ნორმებშია გამოთქმული.

ზიგმუნდ ფროიდი

პიროვნების განვითარების ფროიდის მიერ შემუშავებული თეორია, გარკვეული ზომით მიდის კონცეფციის საპირისპიროა, რამდენადაც ემყარება შეხედულებას, რომ ინდივიდი მუდმივ კონფლიქტშია საზოგადოებასთან. ფროიდის თანახმად, ბიოლოგიური ლტოლვები (განსაკუთრებით სექსუალური) უპირისპირდება და ეწინააღმდეგება კულტურის ნორმებს, შესაბამისად სოციალიზაცია ამ ლტოლვების მოთოკვისა და ალაგმვის პროცესია.

პიროვნების სამი შემადგენელი ნაწილი. ფროიდის თეორია პიროვნების ფსიქიკურ სტრუქტურაში სამ ნაწილს: იდ-ს („იგი“), ეგო-ს („მე“) და სუპერეგო-ს („ზე-მე“)-ს გამოყოფს. იდი („იგი“) სიამოვნების მიღებაზე მიმართული ენერჯის წყაროა. ენერჯის განთავისუფლებისას დამაბულობა სუსტდება და პიროვნება სიამოვნების გრძნობას განიცდის.

„იგი“ (იდი) გვიბიძგებს სექსისაკენ, აგრეთვე ახორციელებს ორგანიზმის ისეთ ფუნქციებს, როგორცაა საკვების მიღება და ბუნებრივ საჭიროებათა დაკმაყოფილება.

ეგო („მე“) აკონტროლებს ადამიანის ქცევას, და რაღაცნაირად გვაგონებს შუქნიშანს, რომელიც პიროვნებას გარემომცველ სინამდვილეში ორიენტირებისას ეხმარება. ეგო ძირითადად ხელმძღვანელობს რეალობის პრინციპით. ეგო არეგულირებს შესაფერისი ობიექტის შერჩევას, რომელიც საშუალებას იძლევა გადავლახოთ იდ-თან დაკავშირებული დამაბულობა. მაგ. როდესაც იდი (იგი) განიცდის შიმშილს, ეგო გვიკრძალავს საკვებად გამოვიყენოთ და მოვიხმართოთ ავტომობილის საბურავები ან შხამიანი სოკოები; ჩვენი ლტოლვისა და სურვილის დაკმაყოფილების გადადება შესაფერისი საკვების შერჩევის მომენტამდე ხდება.

სუპერეგო („ზე-მე“) - ესაა იდეალიზებული მშობელი, იგი ზნეობრივ და შეფასებით ფუნქციებს მოიცავს. სუპერეგო მართავს ქცევებს და სრულყოფას მშობელთა, ხოლო შემდგომ საზოგადოების მიერ შემოღებული სტანდარტების მიხედვით ცდილობს.

ეს სამი კომპონენტი აქტიურად ზემოქმედებს ბავშვის პიროვნების ფორმირებაზე. ბავშვებმა უნდა მისდიონ რეალობის პრინციპს, თან უნდა ელოდონ შესაფერისი დროის და ადგილის დადგომას, რათა დაუთმონ და მისდიონ იდეის ზეწოლას. ისინი ასევე უნდა დაემორჩილონ მშობლებისა და საკუთარი ფორმირებადი სუპერეგოს მიერ წამოყენებულ მორალურ



მოთხოვნებს. ეგო თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას სუპერეგოს მიერ წახალისებული ან დასჯილი ქვეყებისათვის, ამასთან დაკავშირებით ადამიანი სიამაყის ან დანაშაულის ჩადენის (ბრალეულობის) გრძნობას განიცდის.

სექსუალური განვითარების სტადიები. ფროიდის თეორიის თანახმად, პიროვნების ფორმირების პროცესი ოთხ სტადიას გადის. თითოეული ამ სტადიათაგანი სხეულის (ტანის) განსაზღვრულ ნაწილებთან – ე.წ. ეროგენულ ზონებთანაა დაკავშირებული. თითოეულ სტადიაზე წარმოიშობა კონფლიქტი სიამოვნებისადმი სწრაფვასა და ჯერ მშობლების, ხოლო შემდგომ კი სუპერეგოს მიერ დადგენილ შეზღუდვებს შორის.

ბავშვის სიცოცხლის დასაწყისში ეროგენულ ზონას წარმოადგენს პირი. ჩვილის მთელი ენერჯია მიმართულია იმაზე, რათა მიიღოს სიამოვნება პირის გზით – არა მხოლოდ საკვების მიღებისაგან, არამედ წოვის, როგორც ასეთისაგან. ამგვარად, ბავშვის სიამოვნების წყაროს წარმოადგენს პირი. ჩვილის სიცოცხლის მოცემულ პერიოდს ფროიდმა ორალური სტადია უწოდა.

მეორე ანუ ანალურ სტადიაზე მთავარი ეროგენული ზონა უკანა გასასვლელი ხდება. ამ დროს ბავშვები ისწრაფვიან დამოუკიდებლობისაკენ, ხოლო მშობლები ესწრაფვიან მიაჩვიონ ისინი ღამის ქოთანზე დაჯდომას. ამ პერიოდში სერიოზულ მნიშვნელობას იძენს ექსკრეციის პროცესის კონტროლის უნარი.

მესამე სტადიას ეწოდება ფალიური. ამ სტადიაზე სიამოვნების მთავარ წყაროს ბავშვისთვის პენისი ან კლიტორი წამოადგენს. სწორედ ამ პერიოდში, როგორც ფროიდი თვლის, იწყება ბიჭებსა და გოგონებს შორის განსხვავების გამოვლენა. ბიჭები შედიან ე.წ. ოიდიპოსის სტადიაში

– ქვეცნობიერად ისინი ოცნებობენ დედის გვერდით მამის ადგილის დაკავებაზე. გოგონები კი აცნობიერებენ, რომ მათ არ აქვთ პენისი, ამიტომ ისინი ბიჭებთან შედარებით არასრულყოფილად გრძნობენ თავს.

ლატენტური პერიოდის დასრულების შემდეგ, როდესაც გოგონები და ბიჭები ჯერ კიდევ არ არიან სქესობრივი სიახლოვის პრობლემით აფორიაქებულნი, ყმაწვილებისა და გოგონების ცხოვრებაში დგება გენიტალური სტადია. ამ პერიოდში თავს ინარჩუნებს ადრეული სტადიებისათვის დამახასიათებელი ზოგი თავისებურება, მაგრამ სიამოვნების მთავარი წყარო საპირისპირო სქესის მქონე პიროვნებასთან სექსუალური ურთიერთობა ხდება.

პიაჟეს მიერ შემოთავაზებული მიდგომა პიროვნების განვითარების ფროიდის მიერ შემოთავაზებული თეორიისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.



პიაჟემ კოგნიტური განვითარება, ანუ აზროვნების დასწავლის პროცესი გამოიკვლია. მისი თეორიის თანახმად, კოგნიტური განვითარების ყოველ სტადიაზე ყალიბდება ახალი ჩვევები, რომლებიც განსაზღვრავენ იმის ფარგლებს, რაც მოცემულ სტადიაზე ადამიანს შეიძლება ვასწავლოთ. ბავშვები ამ სტადიებს განსაზღვრული თანმიმდევრულობით გადიან, თუმცა არ არის სავალდებულო ერთნაირი სიჩქარითა და შედეგიანობით გაიარონ ისინი.

პირველი პერიოდი, დაბადებიდან ორ წლამდე, სენსომოტორულ სტადიად იწოდება. ამ დროს ბავშვებში გარემომცველი სამყაროს საგნების სახეების მეხსიერებაში დიდხანს შენახვა-დამახსოვრების უნარი ყალიბდება. ამ სტადიამდე მათ, შესაძლოა, ეჩვენებათ, რომ საგანი კარგავს არსებობას, როდესაც მას ვერ ხედავენ. მოცემული სტადიის არსებობა შეიძლება ნებისმიერმა ძიძამ დაადასტუროს, რომელმაც იცის, თუ როგორ გამყინავად ტირიან და ყვირიან ჩვილები, როდესაც ხედავენ, რომ მათი მშობლები მიდიან, ხოლო ნახევარი წლის შემდეგ ისინი მხიარულად უქნევენ მათ ხელს.

მეორე პერიოდი, ორიდან შვიდ წლამდე, წინაოპერაციულ სტადიად იწოდება. ამ პერიოდში, ბავშვები სიმბოლოებისა და მათი მნიშვნელობის განსხვავებას სწავლობენ. მოცემული სტადიის დასაწყისში ბავშვები ძალიან ბრაზდებიან და განიცდიან, თუ ვინმე დაუნგრევს ქვიშისაგან აშენებულ კომკს, რომელიც სიმბოლურად მათ საკუთარ სახლს აღნიშნავს. ეტაპის დასასრულს ბავშვები იგებენ, აცნობიერებენ განსხვავებას სიმბოლოებსა და იმ საგნებს შორის, რომლებსაც ისინი აღნიშნავენ.

შვიდიდან 11 წლამდე ასაკში ბავშვები სწავლობენ აზრობრივად შეასრულონ ის მოქმედებები, რომლებსაც ადრე მხოლოდ ხელებით ასრულებდნენ. პიაჟე ამ პერიოდს კონკრეტულ ოპერაციათა სტადიას უწოდებს. მაგალითად, თუ მოცემულ სტადიაზე ბავშვებს აჩვენებენ ექვსი ჩხირისაგან შემდგარ რიგს და თხოვენ ამოიღონ იგივე რაოდენობის ჩხირები გვერდით დადებული კომპლექტიდან, მათ შეუძლიათ ამოიღონ ისინი, რომ არ დაუდონ თითოეული ჩხირი კომპლექტიდან რიგში არსებულ თითოეულ ჩხირს. უფრო პატარა ასაკის ბავშვები, რომლებსაც ჯერ არ უსწავლიათ თვლა, იმისათვის რათა მიიღონ საჭირო რიცხვი, ჩხირს ჩხირზე აწყობენ.

12-დან 15 წლამდე ასაკში ბავშვები შედიან უკანასკნელ სტადიაში, რომელსაც ფორმალურ ოპერაციათა სტადია ეწოდება. ამ ეტაპზე მოზარდებს შეუძლიათ ამოხსნან აბსტრაქტული მათემატიკური და ლოგიკური ამოცანები, გაიაზრონ მორალური პრობლემები, აგრეთვე იფიქრონ და იოცნებონ მომავალზე. აზროვნების შემდგომი განვითარება სრულყოფს ამ სტადიაზე ათვისებულ უნარებსა და ჩვევებს.



სოციალიზაცია, როგორც უწყვეტი პროცესი

ამა თუ იმ ინდივიდის ზნეობრივი განვითარება შეიძლება განსაზღვრულ ეტაპზე შეჩერდეს, მაგრამ თვით სოციალიზაციის პროცესი არასდროს არ მთავრდება. ყველაზე უფრო ინტენსიურად სოციალიზაცია ბავშვობასა და სიყმაწვილეში ხორციელდება, მაგრამ პიროვნების განვითარება საშუალო და დაბერების ასაკშიც კი გრძელდება. დოქტორმა ორვილ გ. ბრიმ-უმცროსმა (1966) ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ სოციალიზაცია მთელი ცხოვრების განმავლობაში მიმდინარეობს და ხდება. იგი ამტკიცებდა, რომ ბავშვებისა და ზრდასრულთა სოციალიზაციას შორის შემდეგი განსხვავება არსებობს.

ზრდასრულთა სოციალიზაცია ძირითადად მათი გარეგანი ქცევის შეცვლაში გამოიხატება, მაშინ როდესაც ბავშვთა სოციალიზაცია ბაზისურ ღირებულებით ორიენტაციებს უკეთებს კორექტირებას.

ზრდასრულთა შეუძლიათ ნორმების შეფასება; ბავშვებს კი მხოლოდ მათი ათვისების უნარი აქვთ. წლების მატებასთან ერთად ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ თვით ჯორჯ ვაშინგტონიც (ჩვენს შემთხვევაში ილია ჭავჭავაძეც) კი ზოგჯერ იძულებული იყო ტყუილი ეთქვა, აი ბავშვებს კი სწამთ, რომ არსებობს რომელიღაც ზღაპრული ბიჭი, რომელიც „ყოველთვის სიმართლეს ლაპარაკობს“.

ზრდასრულთა სოციალიზაცია ხშირად გულისხმობს იმის გაგებას, რომ შავ და თეთრ ფერებს შორის „რუხი ფერის მრავალი“ ელფერი არსებობს. სოციალიზაცია ბავშვობაში უფროსების სრულ მორჩილებაში და გასხვავებული წესების აღსრულებაში მიმდინარეობს. ზრდასრულნი კი იძულებულნი არიან შეეგუონ სხვადასხვა როლების მოთხოვნებს სახლში, სამსახურში, საზოგადოებრივ ღონისძიებებისას და ა.შ. ისინი იძულებულნი არიან დაადგინონ რთულ პირობებში, რომლებიც მოითხოვენ ისეთი კატეგორიების გამოყენებას, როგორებიცაა „უფრო კარგია“ ან „ნაკლებად ცუდია“. ზრდასრულნი ყოველთვის არ ეთანხმებიან მშობლებს; ბავშვებს კი მამისა და დედის მოქმედებების განსჯის უფლებას არავენ აძლევს.

ზრდასრულთა სოციალიზაცია მიმართულია იმაზე, რათა ადამიანს განსაზღვრული ჩვევების ათვისებასა და დაუფლებაში დაეხმაროს. ბავშვების სოციალიზაცია კი ძირითადად მათი ქცევის მოტივაციას აყალიბებს. მაგალითად, სოციალიზაციის საფუძველზე ზრდასრულნი ხდებიან ჯარისკაცები ან კომიტეტის წევრები, ბავშვებს კი წესების შესრულებას, ყურადღებით ყოფნას და თავაზიანობას ასწავლიან.

ბავშვებისა და ზრდასრულთა სოციალიზაციებს შორის განსხვავება, რომელიც ბრიმმა აღწერა, ძირითადად სწორია. მაგრამ ზრდასრულთა სწავლების და ადაპტაციის განხორციელების წესები სოციალიზაციის დროს დიდი კამათის საგანია. შემდეგში ჩვენ ზრდასრულთა განვითარებისა და ცვლილებების რამდენიმე თეორიას განვიხილავთ.



სოციალიზაცია, როგორც პასუხი კრიზისზე და მუდმივი ზრდა

ზოგიერთი სოციოლოგი ამტკიცებს, რომ ზრდასრულ ასაკში სოციალიზაციის პროცესის ცვალებადობა - ცვლილება იმით აიხსნება, რომ განცდები და კრიზისები ზრდასრულ ადამიანთა და ბავშვთა ცხოვრებაში განსხვავებულია. ასეთ მიდგომას ადაპტაციურს უწოდებენ. ზრდასრულთა ცხოვრება განიხილება როგორც მოსალოდნელ და მოულოდნელ კრიზისთა რიგი, რომელთა გააზრება და გადალახვა აუცილებელია. მაგალითად, მოსალოდნელ კრიზისად შეიძლება ჩაითვალოს ასაკის მატებასთან ერთად ფიზიკური მოძრაობის შესუსტება და დაუძლურება; მოულოდნელ კრიზისად კი ერთ-ერთი მეუღლის უდროო სიკვდილი შეიძლება ჩაითვალოს.

სოციოლოგები ზრდასრულთა ცხოვრებაში კრიტიკული მომენტების მთელ რიგს აღნიშნავენ. ზრდასრულმა ადამიანებმა უნდა აირჩიონ პროფესია და გადაიტანონ ამასთან დაკავშირებული სტრესი, ისინი იძულებულნი არიან ბალანსირება მოახდინონ სამსახურიდან და ოჯახიდან მომდინარე მოთხოვნებს შორის. მათვე უხდებათ გადალახონ ე.წ. „ორმოცწლიანთა კრიზისი“, როდესაც ადამიანს ეჩვენება, რომ ცხოვრება ადრინდელ საზრისს კარგავს, სამუშაო კი მოსაწყენი ხდება, ხოლო ოჯახი - „დაცარიელებულ ბუდე“ აგონებს. ამ კრიზისის დადგომის დრო სხვადასხვა ადამიანებში მნიშვნელოვან ვარიაციებს განიცდის. იგი შეიძლება გამწვავდეს მაშინ, როდესაც ბავშვები-შვილები მშობლიურ სახლს ტოვებენ, აგრეთვე პენსიაზე გასვლისას. კრიზისი შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოვლინდეს: ადამიანები ძალიან დიდ შიშსა და სულიერ განგაშს განიცდიან სიბერის მოახლოების გამო, განიცდიან სიკვდილის შიშს ან თავდავიწყებით ესწრაფვიან ხელახლა განიცადონ ახალგაზრდობა, ხელახლა იგრძნონ თავი ახალგაზრდად. ცოლქმრული ერთგულების შებღალვა, ღალატი, განქორწინება, სამუშაოს რადიკალური შეცვლა, უეცარი სურვილი ისწავლო პარაშუტით გადმოხტომა, ან ატარო აღმოსავლური კიმონო ქამრით

– ყოველივე ეს შეიძლება იყოს იმ კრიზისის სიმპტომები, რომელიც ადამიანს მისი ცხოვრების შუაზე წამოეწევა ხოლმე.

ადაპტაციური მიდგომის მომხრეები ჩვეულებრივ თვლიან, რომ ზრდასრულებს ერთიმეორის მიყოლებით ცალკეულ კრიზისთა მთელი რიგის გადალახვა უწევთ. ერთი კრიზისის დაძლევა ყოველთვის არ გვეხმარება მეორე კრიზისის გადალახვაში. ამ თეორიისაგან განსხვავებით განვითარებადი მიდგომა გულისხმობს, რომ ზრდასრულთა სოციალიზაციის პროცესი ერთი კრიზისის დაძლევით და მეორეზე გადასვლით არ ამოიწურება. განვითარებადი მიდგომისას ვარაუდობენ, რომ კრიზისებიმედგომი ზრდის საფუძველს ქმნიან. სოციალურმა ფსიქოლოგმა ერიკ ერიქსონმა ერთ-ერთმა პირველმა მთელი სიცოცხლის მანძილზე პიროვნების განვითარების თეორია წამოაყენა. ერიქსონის თეორიის თანახმად, განვითარების სასიცოცხლო ციკლი რვა სტადიისაგან შედგება: პირველი ხუთი სტადია მოდის ბავშვობის პერიოდზე, ხოლო



დანარჩენი სამი ზრდასრულთა ცხოვრების განსაზღვრულ პერიოდებს შეესატყვისება. ინდივიდების სიცოცხლის ყოველ სტადიაზე წარმოიქმნება სპეციფიკური კრიზისი, ან დაეჭვება, ხოლო ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლა ამ კრიზისის დაძლევის შედეგად ხდება (თვით მაშინაც კი, როდესაც იგი მთლიანად და სრულყოფილად არ იჭრება). ასე მაგალითად, როდესაც ჩვენ ზრდასრული ადამიანები ვხდებით, ინტიმურ დამოკიდებულებათა პრობლემის გადაჭრა გვიწევს, არჩევანი მათსა და მარტოობას შორის უნდა გავაკეთოთ. ამ დროს მუდმივ პარტნიორთან ღია და სანდო, ერთგულ ურთიერთობებს (სიახლოვე) ვესწრავით. თუ ეს არ გამოგვდის, შეიძლება განშორება ან განქორწინება (მარტოობა) მოხდეს. თუ ინტიმურობასა და მარტოობას შორის არჩევანის პრობლემა არ იჭრება, მაშინ შეიძლება მოხდეს ისე, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში კავშირი მხოლოდ შემთხვევით, შეუფერებელ პარტნიორებთან გვექნეს.

შემდეგ მოყვანილია პროვნების განვითარების ყველა სტადია ერიქსონის თეორიის შესაბამისად.

ადამიანური განვითარების რვა სტადია ერიქსონის მიხედვით

1. ნდობა – უნდობლობა (ძუძუმწოვართა ასაკი), როდესაც ყრმას ძუძუთი კვებავენ, ეალერსებიან, ნანას უმღერიან, როდესაც მას უცვლიან საფენებს, იგი გებულობს, თუ როგორი ზომით არის დაკმაყოფილებული მისი ძირითადი მოთხოვნილებები. თუ ბავშვები საკმაოდ უსაფრთხოდ გრძნობენ თავს და მეტად აღარ ტირიან, როდესაც მათ ტოვებენ ისინი, ვინც მათზე ზრუნავს, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მათ თავის სიცოცხლეში პირველი კრიზისი გადალახეს, მაგრამ გარშემომყოფთა მიმართ უნდობლობის რაღაც დონე მაინც რჩება, ვინაიდან კრიზისი ხშირად სრულყოფილად არ წყდება.

2. ავტონომიურობა – სირცხვილი და ეჭვიანობა (1-2 წლები). ბავშვი სწავლობს ლაპარაკს და სიარულს. მისი ცოდნა გარემომცველ სამყაროზე ფართოვდება. სწორედ ამ პერიოდში ბავშვების მისწრაფება დამოუკიდებლობისა და ავტორიტეტისადმი დაუმორჩილებლობისაკენ განსაკუთრებით ნათლად ვლინდება. მაგრამ სწორედ ამ ეტაპზე მშობლები ცდილობენ ასწავლონ მათ ღამის ქოთანზე ჯდომა. როდესაც ბავშვს ამ ინტიმურ სფეროში ძალიან ბევრ მოთხოვნას უყენებენ, იგი სირცხვილის და საკუთარი არასრულყოფილების ღრმა გრძნობას განიცდის; ამით დამოუკიდებლობისა და გარემომცველ სინამდვილეში ორიენტირების უნარისადმი მისწრაფებას საფუძველი ეცლება.

3. ინიციატივა – ბრალეულობის განცდა (3-5 წლები). ამ პერიოდში ბავშვებში შეიმჩნევა მოძრაობა, გადაადგილებებისადმი სწრაფვა, ცნობისმოყვარეობა, ფანტაზიის მუშაობა. ნათლად ვლინდება მეტოქეობის სულისკვეთება და ბიჭებსა და გოგონებს შორის განსხვავების



გაცნობიერება. ყოველივე ამის შედეგად ბავშვი უპირისპირდება გარშემომყოფთ იმ მიზეზით, თუ როგორ შორს შეიძლება წავიდეს მისი ინიციატივა თავისი ახალი მოთხოვნილებების დემონსტრირებისას.

4. შრომისმოყვარეობა – არასრულფასოვნება (უმცროსი სასკოლო ასაკი). ბავშვები სწავლობენ ინდივიდუალური ამოცანების შესრულებას, მაგალითად, კითხვას, ერთად შრომას, ჯგუფში კი – მთელი კლასის მიერ შესრულებულ მოქმედებებში მონაწილეობას. ისინი ამყარებენ ურთიერთობებს მასწავლებლებთან და სხვა ზრდასრულ ადამიანებთან. ბავშვები იწყებენ რეალური ცხოვრებისეული როლებისადმი ინტერესების გამოვლენას: იქნება ეს მეხანძრის, მფრინავის, ექთნის თუ სხვა, მაგრამ მოცემულ ეტაპზე მთავარი მნიშვნელობა აქვს თავის თავში დარწმუნებულობის და კომპეტენტურობის განვითარებას, სწორედ ამ პერიოდში იწყებენ ბავშვები ზრდასრულთა ნამდვილი როლების ათვისებას (თავის წარმოსახვაში კვლავწარმოებას). თუ ბავშვი ვერ შეძლებს ამ კრიზისის გადალახვას იგი თავს არასრულყოფილად იგრძნობს.

5. ინდივიდუალობის ჩამოყალიბება (იდენტიფიკაცია) – როლური დიფუზია (სიყმაწვილე). ამ პერიოდში ორ ძირითად ხდომილებას აქვს ადგილი. თავისი ფიზიკური განვითარების შედეგად, ახალგაზრდა ადამიანები ხდებიან ზრდასრულნი და აქტიურ სექსუალურ ლტოლვას განიცდიან; ამავე დროს, მათცხოვრებაში თავისი ადგილის არჩევა უხდებათ. ვაჟმა ან გოგონამ უნდა გადაწყვიტოს, ისწავლოს კოლეჯში თუ იპოვოს შესაფერისი სამუშაო, აირჩიოს ცხოვრების თანამგზავრი. ამ საქმეებში წარუმატებლობამ შეიძლება შესაფერისი სამუშაოს, პარტნიორების, მეგობრების შემდგომ არჩევანზე უარყოფითად იმოქმედოს.

6. ინტიმურობა – მარტოობა (ზრდასრული პერიოდის დასაწყისში). ამ სტადიაზე ძირითად მნიშვნელობას იძენს ქორწინება, მზრუნველობა და ინტიმურ ურთიერთობათა სხვა სახეები. ადამიანები ცდილობენ და ესწრაფვიან დაამყარონ მუდმივ პარტნიორებთან გულწრფელი და სანდო ურთიერთობები, მაგრამ ამის მიღწევა ყოველთვის ვერ ხერხდება და ადამიანები ერთმანეთს შორდებიან ან განქორწინდებიან. თუ ინტიმურობასა და მარტოობას შორის არსებული კონფლიქტი ვერ პოულობს გადაჭრას, მაშინ შეიძლება მოხდეს ისე, რომ შემდგომში ადამიანი შევიდეს დროებით კავშირებში, რომლებიც მუდამ განხეთქილებითა და დაპირისპირებით დასრულდება.

7. შემოქმედებითი აქტიურობა – უძრაობა (საშუალო ასაკი). ამ ეტაპზე ადამიანები ძირითადად ითვისებენ განსაზღვრული სახის საქმიანობას და მშობლის ფუნქციებს. იგი პასუხს სცემს შემდეგ კითხვებს: რამდენად პატივმოყვარეა ესა თუ ის ადამიანი? ჩართულია თუ არა ის თავის საქმიანობაში, მთლიანად იხარჯება თუ არა და რა მომენტიდან ავლენს იგი კარიერისადმი განსაკუთრებულ ინტერესს? შეუძლია თუ არა მას მისცეს საზოგადოებას ახალი წევრები, შობოს



და აღზარდოს ბავშვები? როგორი წესით და ხერხით გადალახავს ის სამსახურში არსებულ წარუმატებლობას ან ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებულ არასასურველ პრობლემებს?

8. სიმშვიდე – სასოწარკვეთილება (სიბერე). ამ სტადიაზე ადამიანები აჯამებენ თავიანთი ცხოვრების განვლილ გზაზე მოპოვებულ შედეგებს. ზოგიერთი მათგანი მშვიდად ხვდება სიბერეს, სხვები კი სინანულს განიცდიან. ამ პერიოდში ადამიანი ახლებურად იაზრებს საკუთარ ცხოვრებას. თუ ადამიანები ცხოვრებით კმაყოფილნი არიან, მაშინ მათ უჩნდებათ გრძნობა იმისა, რომ ცხოვრების ყველა ეტაპი რაღაც ერთიან მთლიანობას შეადგენს. თუ არა, მაშინ სასოწარკვეთილებაში ვარდებიან.

პიროვნების შეცვლა

ფსიქოლოგებმა შემოგვთავაზეს თეორია, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოთ განხილული თეორიიდან.

ისინი თვლიან, რომ ზრდასრულთა სოციალიზაცია არ არის ბავშვთა სოციალიზაციის გაგრძელება; იგი წარმოადგენს ბავშვობაში ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური ტენდენციების გადალახვის პროცესს. მართალია, ისინი იზიარებენ ფროიდის თვალსაზრისს, რომ ბავშვობაში გადატანილი ტრამვები გადამწყვეტ გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე, მაგრამ მიაჩნიათ, რომ შესაძლებელია მათი ნაწილობრივ გადალახვა. ზრდასრულ ადამიანებს დაკვირვებებისა და გაზრებების მეშვეობით შეუძლიათ გააცნობიერონ, რომ ბავშვობაში

ათვისებული ზოგიერთი ცნება, არ შეესაბამება სინამდვილეს, რომ მშობლები ყოვლის შემძლენი არ არიან, რომ გარემომცველ სინამდვილეს საქმე არ აქვს მათ სურვილებთან და შიშებთან (თუმცა ბავშვობაში ისინი ფიქრობდნენ სხვაგვარად), დაბოლოს, ისინი აცნობიერებენ, რომ სრულებითაც არ არის აუცილებელი ავტორიტეტებისადმი მორჩილება. ისინი ასევე ასაბუთებენ, რომ ზრდასრულთა წარმატებული სოციალიზაცია დაკავშირებულია ავტორიტეტულ პირთა ყოვლისშემძლეობისა და იმის შესახებ არსებული რწმენის თანდათანობით გადალახვასთან, რომ სხვები ვალდებულნი არიან იზრუნონ თქვენს პრობლემებსა და საჭიროებებზე. საბოლოოდ კი ყალიბდება ავტორიტეტებისადმი უფრო რეალისტური რწმენა, უნდობლობის რაციონალური ზომით და გაგება, რომ ადამიანები თავიანთ თავში აერთიანებენ როგორც ღირსებებს, ისე ნაკლოვანებებს. ბავშვური მითებისგან განთავისუფლებისას, ადამიანები უფრო მომთმენნი, გულუხვი და კეთილნი ხდებიან. საბოლოო ანგარიშში პიროვნება მნიშვნელოვნად დიდ თავისუფლებას იძენს.



რესოციალიზაცია

პრინციპი, რომლის თანახმადაც პიროვნების განვითარება მთელი სიცოცხლის მანძილზე აღმავალი ხაზით მიემართება და იგება გავლილის დამაგრებისა და განმტკიცების საფუძველზე, არ არის გადაულახავი. მაგრამ პიროვნების ადრე ჩამოყალიბებული თვისებები, არ არის გამარადისებული ქვაში. რესოციალიზაცია ეწოდება ახალი ღირებულებების, როლების, უნარ-ჩვევების ათვისებას ძველი, ადრინდელი, არასაკმარისად ათვისებული ან უკვე მოძველებული როლების ნაცვლად. რესოციალიზაცია საქმიანობის მრავალ სახეს მოიცავს – კითხვის უნარის გაუმჯობესებიდან დაწყებული და მუშათა პროფესიული გადამზადებით დამთავრებული. ფსიქოთერაპიაც ასევე რესოციალიზაციის ერთერთი ფორმაა. მისი ზემოქმედების ქვეშ ადამიანები ცდილობენ გაერკვნენ თავიანთ კონფლიქტებში და ამ გაგების საფუძველზე თავიანთი საქციელი და ქცევა შეცვალონ.

ხანდაზმულთა სოციალიზაცია

ამ ბოლო წლებში სოციოლოგებმა სოციალიზაციის კიდევ ერთი ტიპის: ხანდაზმულთა სოციალიზაციის შესწავლა დაიწყეს. სიბერისადმი შეგუება აუცილებელი და სავალდებულო არაა წარმოადგენდეს ზრდის პროცესს. პიროვნების განვითარება შეიძლება შეწყდეს, ან უკანაც კი დაეშვას ადამიანის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების შესუსტებისა და დაქვეითების გამო, რაც ძალიან ხშირად ხდება მოხუცებულობაში. ზოგიერთი ხანდაზმული ადამიანი ჯანმრთელობის შერყევს, ფინანსური სიძნელეების და ემოციური განცდების გამო წყვეტს აქტიური როლის თამაშს საზოგადოებაში. ეს ტენდენცია დიდ შიშსა და განგაშს იწვევს აშშ-ში და სხვა ქვეყნებში. საზოგადოებაში, სადაც დიდი პატივით ეპყრობიან ტრადიციებს, მაგალითად იაპონიაში, მოხუცებულნი დიდი პატივით სარგებლობენ; ამერიკაში კი ხანდაზმულ ადამიანებს „ბედის ანაბარა ტოვებენ“, როდესაც პენსიაზე გადიან – ისინი მოულოდნელად სრულიად არასაჭირონი ხდებიან საზოგადოებისთვის.

ზოგი სოციოლოგი თვლის, რომ ამერიკელთა სოციალიზაცია ხანდაზმულ ასაკში ძლიერ არაეფექტურია. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ იმას, რომ იმ დროს, როდესაც სოციალიზაციის სხვა

ეტაპები ასოცირდებიან ისეთ საზეიმო რიტუალებთან, როგორცაა კონფირმაცია, დიპლომის გადაცემის ცერემონია, ქორწილი და ა.შ. ხანდაზმულ ასაკში ცხოვრებას ალამაზებენ მხოლოდ იშვიათად აღნიშნული დაბადების დღეები და პენსიის ყოველთვიური მიღება. ამიტომ ადამიანები უხალისოდ ემორჩილებიან დამდგომ სიბერეს, ნაცვლად იმისა, რომ მიღონ იგი, როგორც ცხოვრების ახალი და განუმეორებელი ეტაპი. გარდა ამისა, წინამორბედ ეტაპებზე ცხოვრებას სულ ახალი სიხარული და სიკეთეები მოაქვს – შემოსავლების გაზრდა,



ძალაუფლება, სასიყვარულო თავგადასავლები, ხანდაზმულ ასაკში კი ადამიანი ძირითადად დანაკარგებს მოელის. ნაცვლად იმისა, რომ შევიდნენ ახალ საზოგადოებრივ ჯგუფებში ხანდაზმული ადამიანები სულ უფრო მარტონი რჩებიან – მათი შვილები დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ, მეგობრები კვდებიან, სადამოობით მათ უკვე ეშინიათ სახლიდან გასვლა. ხანდაზმულთა სოციალიზაცია კიდევ იმით განსხვავდება ცხოვრების სხვა ეტაპებზე სოციალიზაციისაგან, რომ ხანდაზმულ ადამიანთა როლები ნათლად და მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. ქვრივი უკვე ცოლი არ არის, პენსიაზე გასული ჩინოვნიკი კი უკვე აღარ არის ვიცე-პრეზიდენტი. ქვრივისა და პენსიონერის მდგომარეობა არც კი შეიძლება როლებად ჩაითვალოს, რამდენადაც ისინი ნაკლებ არიან დაკავშირებულნი განსაზღვრულ ნორმებთან და იდეალებთან.

არ აქვთ რა ნათლად განსაზღვრული როლები, ხანდაზმული ასაკის ადამიანები ცდილობენ და ესწრაფვიან იმას, რომ ახალგაზრდულად გამოიყურებოდნენ იმ საზოგადოებაში, სადაც ძალიან მაღალ შეფასებას აძლევენ ახალგაზრდულ ენერჯიას. მოხუცებულთა ნამდვილი როლი ამ საზოგადოებაში ფრიად ბუნდოვანი რჩება. ადამიანები, რომელთა ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი უკან დარჩა, არ სარგებლობენ განსაკუთრებული პრესტიჟით ან პატივისცემით.

თუ ამერიკული საზოგადოება თავს არიდებს ხანდაზმულ ასაკში სოციალიზაციის პრობლემების გადაჭრას, მაშინ სიკვდილთან დაკავშირებულ პრობლემებს კიდევ უფრო უარესად აქვთ საქმე, მათ ტაბუ ადევთ. განსხვავებით ირლანდიელებისაგან და ინდუსებისაგან (ალბათ ქართველებისაგანაც ა. ბ.) რომლებიც დიდ სამგლოვიარო ცერემონიებს აწყობენ მიცვალებულთა გასაპატიოსნებლად და იმქვეყნად გასამგზავრებლად, ამერიკელები ცდილობენ მინიმუმამდე დაიყვანონ ახლობელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული განცდები. მხოლოდ ძალიან ცოტა რაოდენობის მოხუცებული ცხოვრობს თავის შვილებთან ერთად. ისინი ხშირად ან მიუსაფართა სახლებში, ან საავადმყოფოს საწოლებში კვდებიან. გამოთხოვება ხდება სასაფლაოზე, სადაც დამკრძალავი ბიუროს გულგრილი მსახურნი თხრიან სამარეს ან განსვენებულის კრემაციას ახდენენ.

ჩვენს შფოთსა და დამაბულობას სიკვდილის პირისპირ დგომისას ადასტურებს საავადმყოფოს პალატებში ჩატარებული გამოკვლევები. თვით ის ადამიანებიც კი, რომლებიც სიკვდილს

„ნორმალურ მოვლენად“ თვლიან, იყენებენ სპეციალურ ჟარგონს, რათა ამ ხდომილების ემოციური ზემოქმედება შეამსუბუქონ. მაგალითად სიტყვით DOA (Dyeდ ონ არრივალ - საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა). ისინი აღნიშნავენ იმ ადამიანს, რომელიც საავადმყოფოში მიმავალ გზაზე გარდაიცვალა. გარდაცვლილ პაციენტებს მაშინვე ასვენებენ პალატიდან და მორგში გადაჰყავთ.

ცოცხლები სავსებით არ არიან მზად სიკვდილისათვის. დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლები იყენებენ განსაკუთრებულ ენას, საუბრობენ რა მიცვალებულის, სხეულის, მემკვიდრეებისა და



დასაკრძალავი ცერემონიების შესახებ. დაკრძალვის ორგანიზაცია ძირითადად ხორციელდება მოსამსახურეთა მიერ, რომელთაც შეხებაც კი არ აქვთ გარდაცვლილის ოჯახთან. გარდაცვლილთან გამოთხოვების ცერემონია დიდხანს არ გრძელდება და ამიტომ ეს რიტუალი ემოციურ ძალას და სიღრმეს მოკლებულია. ნათელია, რომ საზოგადოება მხოლოდ მოიგებდა, თუ მასში დამკვიდრდებოდა სიკვდილისადმი მზადების და ცხოვრებიდან წასვლის უფრო ჰუმანური და გონიერი წესები და საშუალებები.

სოციალიზაციის აგენტები

მშობლები, მეგობრები, მწვრთნელები, სულიერი მოძღვარნი, დამრიგებლები, მეწარმენი და სხვა ადამიანები დაინტერესებულნი არიან იმით, რომ ჩვენ ავითვისოთ სოციალური როლები და ვესწრაფოთ მათ აღსრულებას ცხოვრებაში. ინსტიტუტებს, ცალკეულ ადამიანებს და ჯგუფებს, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალიზაციას, სოციალიზაციის აგენტებად იწოდებიან. ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა, მაგრამ განსაზღვრულ ეტაპებზე სხვადასხვა აგენტები ასრულებენ განსაკუთრებულ როლს.

ჩვილობის, ყრმობის წლები

განსხვავებით სხვა დონის ძუძუმწოვრებისაგან, რომლებიც არსებობისა და გადარჩენის თანშობილ უნარებს ფლობენ, ადამიანური არსებანი (განსაკუთრებით ჩვილები) საჭიროებენ სხვა ადამიანთა მზრუნველობას, რომლებიც მათ აჭმევენ, აცმევენ და სიცივისაგან იცავენ. ასევე იმისათვის, რომ სწორი მიმართულებით განვითარდნენ, ჩვილებს ასევე აუცილებლად ესაჭიროებათ იმის მუდმივი გრძნობა, რომ ისინი უყვართ განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლო წლებში.

დეპრივაცია. დეპრივაციის ანუ მშობლიურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების მდგომარეობის გამოკვლევები თვალსაჩინოდ მოწმობენ იმას, თუ როგორ ესაჭიროებათ ამგვარი მზრუნველობა და სიყვარული ბავშვებს. იმ ბავშვთა ქცევები, რომლებიც ჩაკეტილნი ან მშობლებისაგან მიტოვებულნი იზრდებოდნენ, გვიმტკიცებს, რომ მზრუნველობის არარსებობა გავლენას ახდენს ბავშვების სოციალური ჩვევების გამომუშავებაზე და სწავლების უნარებზე.

ანა იყო უკანონოდ დაბადებული ბავშვი (ბუში), რომელსაც დედა გამუდმებით ჰკეტავდა ოთახში და მარტო ტოვებდა. თუმცა დედა კვებავდა მას, იგი იშვიათად აბანავებდა და ეფერებოდა და თითქმის არ ელაპარაკებოდა გოგონას. როდესაც ანა ექვსი წლის გახდა, იგი უცხო ადამიანებმა იპოვეს. გოგონას ამ ასაკში არ შეეძლო სიარული. იგი გაგზავნეს ბავშვთა სახლში, ხოლო შემდეგ კი – სპეციალურ სკოლაში სწავლობდა. ოთხი წლის შემდეგ გოგონა



გარდაიცვალა – აქამდე მან მოასწრო დაესწავლა ბურთით თამაში, ჩაცმა და მარტივი დავალებების შესრულება, მაგრამ ჭამისას მას მხოლოდ კოვზის გამოყენება შეეძლო, ხოლო მისი მეტყველება – ორი წლის ბავშვის დონეზე დარჩა.

კამალა ე.წ. მაუგლი იყო. იგი ინგლისელმა მისიონერებმა აღმოაჩინეს ინდოეთში, როდესაც რვა წლის იყო. ითვლებოდა, რომ მშობლებმა იგი მიატოვეს მაშინ, როდესაც ჩვილი და უსუსური იყო და გოგონა მგლებს შორის გაიზარდა. შეიძლება სინამდვილეში გოგონა არც კი გაზრდილა მგლებში, მაგრამ იგი ემოციურ დეპრივაციას განიცდიდა. იგი შიშველი დადიოდა და უმ ხორცს ჭამდა. როდესაც მისიონერებმა იგი იპოვეს, გოგონა ძალიან მტრულად ეპყრობოდა სხვა ადამიანებს. შემდგომ მთელი რვა წლის განმავლობაში მან მისიონერთა სკოლაში სწავლისას საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია. მან შეისწავლა სიტყვათა მარტივი ნაკრების გამოყენება და სხვადასხვა გრძნობების გამოხატვა სხვა ადამიანების მიმართ, ისწავლა ტანსაცმლის ტარება და მომზადებული საკვების მოხმარება და მირთმევა, მაგრამ კითხვის დასწავლა და მეგობრული დამოკიდებულების ხანგრძლივი შენარჩუნება მაინც ვერ შეძლო.

მესამე გოგონა იზაბელაყრუ-მუნჯი ქალის უკანონო შვილი იყო, რომელიც მას იმ ოჯახისგან მალულად ინახავდა, სადაც იგი მსახურად მუშაობდა. იზაბელა არ ყოფილა ისე მკაცრად იზოლირებული, როგორც ანა. დედა მასზე ზრუნავდა და ნიშნების ენას ასწავლიდა. როდესაც ადამიანებმა გოგონა ექვსი წლის ასაკში აღმოაჩინეს, იზაბელამ მხეცური შიში და მტრობა გამოავლინა. ორი წლის განმავლობაში იგი ინტენსიურად სწავლობდა და საკმაოდ ჭკვიანი და მხიარული ბავშვი აღმოჩნდა, მისი ქცევაც სავსებით ნორმალური გახდა. დედასთან ურთიერთობის, აგრეთვე სხვა ადამიანთა მხრივ განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის წყალობით, იზაბელამ თავიდან აიცილა ანასა და კამალას ბედი.

ჰოსპიტალიზმი. სოციალური იზოლაციის მოყვანილი მაგალითები ამტკიცებს და მოწმობს პატარა ბავშვებისათვის თუნდაც მინიმალური ადამიანური ურთიერთობის უზარმაზარ მნიშვნელობას. ასეთი ურთიერთობის არარსებობა ჰოსპიტალიზმის მიზეზი ხდება, რომელიც თავის მხრივ მიუსაფარ ბავშვთა სახლების გულგრილი ვითარებისათვის დამახასიათებელ ცუდ და საზიანო შედეგებს იწვევს, სადაც ბავშვები მშობლიურ ალერსსა და სიყვარულს არიან მოკლებულნი. სოციოლოგებმა ჰოსპიტალიზმის სერიოზული გამოკვლევა ჩაატარეს. ისინი ერთმანეთს ადარებდნენ იმ ბავშვების ცხოვრებას, რომლებიც განსხვავებულ ბავშვთა დაწესებულებებში იზრდებოდნენ. პირველი პატიმარ დედათა შვილებისათვის განკუთვნილი ბაგა იყო. მეორე – ბავშვთა სახლი, რომლებშიც მშობლებისგან სამუდამოდ მიტოვებული ბავშვები იზრდებოდნენ. ორივე საბავშვო დაწესებულებაში ბავშვები იზრდებოდნენ სისუფთავეში, სრულფასოვნად იკვებებოდნენ და კარგ სამედიცინო მომსახურებასაც იღებდნენ. ძირითადი განსხვავება ბავშვებზე ინდივიდუალურ მზრუნველობასთან არის დაკავშირებული. ბავშვთა სახლში უფროსი მედდა და მისი სამი თანაშემწე ასწავლიდნენ დედებს ბავშვების ძუძუთი გამოკვებას და საკუთარი ბავშვების მოვლას.



ორი დაწესებულების ბავშვების შედარებამ საოცარი განსხვავება გამოავლინა. დაბადებიდან სამი თვის შემდეგ ბავშვთა სახლში ძალიან იზრდებოდა ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის დონე. ისინი ჩამორჩებოდნენ ფიზიკური და გონებრივი განვითარებითაც, ხოლო ბავშვები, რომლებიც ბაგაში იზრდებოდნენ, მნიშვნელოვნად ჯანმრთელნი და აქტიურნი იყვნენ. ისინი გაცილებით ადრე იწყებდნენ ლაპარაკს. გაკეთდა დასკვნა, რომ ზრდასრულ ადამიანებთან მჭიდრო და ახლო კონტაქტები იყო ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც ბაგაში ბავშვების კარგ ჯანმრთელობას და განვითარებას ხელს უწყობდა.

მაიმუნის ჩვილებზე ჩატარებული გამოკვლევაც ასევე ადასტურებს უფროსების მხრივ გამოხატული მზრუნველობისა და სითბოს მნიშვნელობას მათ ნაშიერთა ადრეული განვითარების ეტაპზე. ჩატარებული კვლევისას მაიმუნების ჩვილები ორი ტიპის სუროგატ დედას (დედის შემცვლელს) იღებდნენ. პირველი დედა იყო ხელოვნური მაიმუნი, რომელიც ფაფუკი და რბილი შალის ქსოვილით იყო შეკერილი; მეორე კი წარმოადგენდა მავთულებისგან შექმნილ წარმონაქმნს, რომელიც მუდმივად უზრუნველყოფდა მაიმუნის ნაშიერთ რძით. როდესაც პატარა მაიმუნები მამღარნი იყვნენ, ისინი მთელ დროს „რბილ დედას“ ეკვროდნენ, რომლის გვერდითაც ისინი შეიგრძნობდნენ სითბოს და თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ, მაიმუნები, რომლებსაც ურთიერთობა მხოლოდ „მკაცრ დედასთან“ (მავთულებისგან გაკეთებულ სუროგატთან) ჰქონდათ, ძალიან აგრესიულები გაიზარდნენ და აგდებულად და ცივად ექცეოდნენ თავის საკუთარ ნაშიერთ, ზოგჯერ კლავდნენ კიდეც. ის მაიმუნები, რომლებიც შალისაგან შეკერილი „დედის“ მიერ თბებოდნენ, უფრო გულისხმიერნი, ყურადღებიანი და მზრუნველნი გაიზარდნენ თავიანთი ნაშიერის მიმართ.

ჩვილ ბავშვებში ასევე ყალიბდება მეტად თუ ნაკლებ მჭიდრო ურთიერთობები უფროსებთან, რომლებიც მათზე ზრუნავდნენ. ესენია მშობლები, და-ძმები, ნათესავები, ძიძვები, ოჯახის მეგობრები. ეს ადამიანები ჩვილი ბავშვის ცხოვრებაში სოციალიზაციის ძირითადი აგენტები ხდებიან. ამ პერიოდში სოციალიზაციის მიზანია ჩამოუყალიბოს ბავშვს სხვა ადამიანების მიმართ სიყვარულის მოტივაცია, რომელიც მათდამი ნდობას, მოსმენასა და სასიამოვნო რაიმეს კეთების სურვილში გამოიხატება.

ბავშვობა და სიჭაბუკე (ახალგაზრდობა)

სამიდან რვა წლამდე ასაკის ბავშვზე სოციალიზაციის ისეთი დამატებითი აგენტები ახდენენ გავლენას, როგორებიცაა: მასწავლებლები, ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ლიდერები, ახალი მოსული ძიძვები. ამ დროში არა მხოლოდ სოციალიზაციის აგენტების რაოდენობა იზრდება, არამედ მათი მოქმედებების პროგრამებიც იცვლება. სულ უფრო დიდი ზეწოლა ხდება შემეცნებითი და აზროვნებითი ჩვევების გამომუშავებაზე. ბავშვი სწავლობს ასოებისა და რიცხვების გამოყენებას, ითვისებს წესების რთულ სისტემას. როდესაც ბავშვები აღწევენ



სიმწიფეს, მაშინ მათი სოციალიზაციის მთავარი აგენტები არა მშობლები, არამედ თანატოლები შეიძლება აღმოჩნდნენ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. დღევანდელ საზოგადოებაში ბავშვები მნიშვნელოვნად დიდი ზომით საზოგადოებაში ქცევის წესებს და როლებს ითვისებენ სატელევიზიო გადაცემებიდან, გაზეთებიდან, ფილმებიდან და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისაგან; მასობრივი ინფორმაციის ამ საშუალებებში წარმოდგენილი სიმბოლური შინაარსები სოციალიზაციის პროცესზე ღრმა გავლენას ახდენენ, ხელს უწყობენ რა განსაზღვრული ღირებულებებისა და ქცევის ნიმუშების ფორმირებას მოზარდებში. ნამდვილად, ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ტელევიზიის როგორც სოციალიზაციის აგენტის ზემოქმედება ისევე დიდია, როგორც მშობლების გავლენა. ეს ფაქტი მრავალი მშობლის გაცემას იწვევს. ტელევიზია არის მასობრივი ინფორმაციის ყველაზე გავრცელებული საშუალება. ორიდან თერთმეტ წლამდე ბავშვები ტელევიზიასთან საშუალოდ კვირაში 27.6 საათს ატარებენ.

საშუალო სკოლის დამსრულებელმა უკვე მოასწრო საშუალოდ დაახლოებით 15 ათასი საათი დაეხარჯა ტელეგადაცემების ნახვაზე (აქ შედის, ყველა დანარჩენის გარდა, დაახლოებით 350 ათასი სარეკლამო განცხადება და 18 ათასი მკვლელობა). ერთადერთი, რასაც ჯერ კიდევ დიდი დრო უჭირავს ბავშვის ცხოვრებაში – ეს ძილია.

სატელევიზიო გადაცემები ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა. ზოგიერთი პროგრამა – მეცნიერულ-პოპულარული ფილმები, კლასიკური რომანების სატელევიზიო დადგმები, საგანგებო გადაცემა-გამოშვებები, მრავალი ხდომილებების მომცველი დოკუმენტური ფილმები

– ერთნაირად სასარგებლოა ბავშვებისა და მშობლებისთვისაც, რადგან აფართოებს მათ ცოდნას სამყაროს შესახებ. ამ გადაცემების წყალობით ბავშვები აღიქვამენ იმ როლურ მოდელებს, რომლებიც მათთვის უცნობ სოციალურ გარემოში ჩამოყალიბდნენ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები შეიძლება არა მხოლოდ ინფორმაციის გასავრცელებლად, არამედ რეკლამის მიზნითაც იქნეს გამოყენებული. როდესაც ჩვენ გვაჩვენებენ წარსულში ცნობილ სპორტსმენს ავტომატური ყავის მადულით ხელში ან ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეს, რომელიც კარგ ნახტომს აკეთებს, მას შემდეგ, რაც გემო გაუსინჯა სიმინდის ბურბუშელას, ჩვენ ქვეცნობიერად აღვიქვამთ ზოგიერთი როლისა და როლური მოდელის უპირატესობას.

ტელევიზიას შეიძლება ნეგატიური ეფექტებიც ჰქონდეს. გამოკვლევებმა გამოავლინეს მყარი კავშირი სატელევიზიო გადაცემების ნახვასა და აგრესიულ ქცევებს შორის. თვით მაშინაც კი, როდესაც როლური მოდელები არ არის წარმოდგენილი სარეკლამო რგოლში, მათი



ზემოქმედებით შეიძლება ახალი მოთხოვნილებები და მოლოდინები ჩამოყალიბდეს. როდესაც მშობლებს ბავშვები მიჰყავთ სუპერმარკეტში, ისინი თავს აბეზრებენ მშობლებს, რათა ტელევიზიის მიერ რეკლამირებული საქონელი შეიძინონ.

რა ზომით ახდენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გავლენას ქცევის შეცვლაზე? ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ ისინი მხოლოდ განამტკიცებენ უკვე პოპულარობა მოპოვებულ იდეებს: ადამიანები მუდამ იმ ფაქტებს აღიქვამენ და იმახსოვრებენ, რომლებიც მათ საკუთარ აზრებს განამტკიცებენ. სხვები კი თვლიან, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, სპორტული თამაშების ტრანსლაციის გადაცემების ჩათვლით, ცუდ გავლენას ახდენენ ახალგაზრდა ადამიანებზე, ახალისებენ და აქეზებენ რა მათ თავშეუკავებელ ქცევებს და ისეთი სასარგებლო საქმეებისაგან წყვეტენ, როგორებიც კითხვა და ერთმანეთს შორის ურთიერთობაა.

სკოლა. სკოლაში არა მხოლოდ წერა-კითხვას და არითმეტიკას ასაწავლიან, არამედ საზოგადოებრივი ღირებულებების შესახებ წარმოდგენებსაც გვაძლევენ. ამერიკელი მოსწავლეები ჯერ კიდევ მაშინ სწავლობენ ერთგულების ფიცს ზეპირად, როდესაც ჯერ კიდევ ვერ იგებენ, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ფიცი“ და „ერთგულება“, პატრიოტული იდეების ათვისება მანამდე ხდება, სანამ მათ მასში ეჭვის შეტანის უნარი განუვითარდებათ. გარდა ამისა, სკოლაში ბავშვები თავდაუზოგავი შრომის, კერძო საკუთრების, ოჯახის, დემოკრატიის, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაფასებას სწავლობენ. ამგვარად, ხორციელდება მომავალი კეთილგონიერი მოქალაქეების აღზრდა, რომლებიც მზად არიან და სურთ კიდევ დაიცვან იმ საზოგადოების ღირებულებები, რომელშიც შედიან. სკოლა ესაა საზოგადოება მინიატურაში –

სწორედ აქ ხდება ბავშვის პიროვნების და მისი ქცევების ფორმირება. სკოლა ესწრაფვის ბავშვების გაერთიანებას, განტევების ვაცის მათეულ ძიებებს და ანტისაზოგადოებრივი ქცევების სხვა გამოვლინებებს უპირისპირდება. ბევრ რაიმეში ეს გვაგონებს, თუ როგორ ხდება დიდ სოციალურ წესების დადგენა, რომლებიც საზოგადოებრივ ადგილებში ქცევებს არეგულირებენ.

რამდენადაც სკოლაში განხორციელებული სოციალიზაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ოჯახური აღზრდისაგან, ამდენად ოჯახიდან სკოლაში გარდამავალი პერიოდი შეიძლება სიძნელეებთან იყოს დაკავშირებული.

სკოლა თავისი არსის მიხედვით აღიქმება როგორც უსულო დაწესებულება ცივი, გულგრილი ვითარებით და ავტორიტარული ძალაუფლებით, რომლებიც უცხოა ოჯახში აღზრდილი ბავშვისთვის. როდესაც კლასში 30 ან 40 მოსწავლეა, მასწავლებელს არ შეუძლია იყოს ისეთივე ნაზი და ალერსიანი, როგორც მშობლებს. ბავშვებმა ასევე უნდა ისწავლონ იმასთან შეგუება, რომ ისინი უკვე ხდებიან დიდი კოლექტივის და ერთად მოთამაშე სამი-ოთხი ბავშვისაგან შემდგარი პატარა ჯგუფის წევრები. დაბოლოს, ვითარება კლასში მნიშვნელოვნად



განსხვავდება ოჯახური ვითარებისაგან კლასში მერხები ხშირად მყარ რიგებად არის დალაგებული. ბავშვებმა ნებართვა უნდა მითხოვონ, რათა გაკვეთილის დროს ტუალეტში გავიდნენ. თამაში მხოლოდ შესვენებებზე შეუძლიათ. ოჯახსა და სკოლას შორის არსებული ამ განსხვავებებისადმი შეგუება – სოციალიზაციის პროცესის და დიდ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის სამზადისის ნაწილია.

სოციალიზაციის ფსიქოლოგია

როგორ ხორციელდება ბავშვთა სოციალიზაცია? არავის ძალუძს ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა, მაგრამ ოთხი ფსიქოლოგიური მექანიზმის (იმიტაციის, იდენტიფიკაციის, სირცხვილისა და ბრალის განცდები) ანალიზი მოცემული პროცესის არსების ახსნაში ძალიან დაგვეხმარება.

იმიტაცია ეწოდება ბავშვის მიერ ქცევის განსაზღვრული მოდელის კოპირების შეგნებულ-გაცნობიერებულ მისწრაფებას. იმიტაცია არ იზღუდება იმით, რომ მაგალითად, ბავშვი ცდილობს პურის გამოცხობას, ხედავს თუ როგორ აკეთებს ამას მამამისი; შესაძლოა, 30 წლის შემდეგ, იგი თავად გახდეს მამა და თავისი მამის მსგავსად ასწავლოს შვილს პურის ცხობა. ზოგჯერ იმიტაცია ცხოვრების არასასიამოვნო მხარეებთან არის დაკავშირებული – ჩვეულებრივ ბავშვების შეურაცხმყოფელი უფროსები თავად იყვნენ დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი უფროსების მიერ ბავშვობაში.

როგორც წესი, მიბაძვის ნიმუში პირველ რიგში მშობლები ხდებიან, მაგრამ ბავშვებს მაგალითი მასწავლებლიდან ან სხვა ძალაუფლების მაღალი სტატუსის მქონე ადამიანებისგან შეუძლიათ აიღონ, თუ მასა და ამ ადამიანებს შორის თბილი მორალური ურთიერთობები დამყარდა. ბავშვებს ასევე აქვთ მიდრეკილება გადაიღონ მისი დამსჯელი უფროსების ქცევები და მიბაძონ მათ. თუ მასწავლებელი გოგონას აყენებს კუთხეში, მაშინ სახლში დაბრუნებისას, მან შეიძლება თავისი სათამაშო თოჯინა საკუჭნაოში ჩაკეტოს.

ზოგჯერ უფროსები თხოვენ ბავშვებს ყურად იღონ მათი რჩევები და არ გააკეთონ ისე, როგორც ამას თავად უფროსები აკეთებენ. ბავშვები მხოლოდ მაშინ შეისმენენ ამ რჩევებს, თუ უფროსები მათდამი თბილ და ნეიტრალურ დამოკიდებულებებს ავლენენ. მაგალითად, სანამ ბავშვებს უყვართ და აფასებენ მამას, მას ძალუძს ხელი ააღებინოს ბავშვებს სიგარეტის მოწევის განზრახვაზე, თვით მაშინაც კი, როდესაც თვითონ მას არ ძალუძს ამ ჩვევისაგან თავის დაღწევა.

იდენტიფიკაცია ეწოდება ბავშვების მიერ მშობელთა ქცევების, განწყობილებების და ღირებულებების, როგორც საკუთარის ათვისების წესსა და ხერხს. ბავშვები აღიქვამენ და იღებენ მშობლების და აგრეთვე იმ ადამიანების თავისებურებებს, რომელთანაც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. მაგალითად, თუ თქვენმა დედამ ადვოკატის პროფესია თავის დროზე



იმიტომ აირჩია, რომ ღრმად სწამს, რომ ღარიბები და გაჭირვებული ადამიანები დაცვის ღირსნი არიან, თქვენ შეიძლება მიბამოთ მის მაგალითს და გახდეთ იურისტი ან ღარიბთა დახმარების სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობა მიიღოთ.

იმიტაცია და იდენტიფიკაცია – პოზიტიური მექანიზმებია, რადგან გარკვეული ქცევის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. სირცხვილი და დანაშაული (ბრალეულობა) ნეგატიური მექანიზმები, რამდენადაც ისინი კრძალავენ განსაზღვრულ ქცევას ან თრგუნავენ მას. სირცხვილისა და ბრალის გრძნობები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ფაქტობრივად ისინი ბევრ რაიმეში ემთხვევიან ერთმანეთს. თქვენ განიცდით სირცხვილის გრძნობას, თუ თქვენ წაგასწრებენ „დანაშაულის ადგილზე“, როდესაც ნებართვის გარეშე იღებთ თასიდან ნამცხვარს; თქვენ თავს დამცირებულად და დათრგუნულად გრძნობთ. სირცხვილი ჩვეულებრივ ასოცირდება გრძნობასთან, რომ თქვენ გამხილეს და შეგარცხვინეს.

ბრალის, დანაშაულის გრძნობებიც იგივე განცდებთან არის დაკავშირებული, მაგრამ აქ ლაპარაკია საკუთარი თავის დასჯაზე. არ აქვს მნიშვნელობა, დაგიჭირეს თუ არა თქვენ

„დანაშაულის ადგილზე“, თქვენ მაინც გრძნობთ დამნაშავედ თავს იმაში, რომ მოიპარეთ ნამცხვარი – ეს კი ნიშნავს იმას, რომ თქვენ გტანჯავთ და გქენჯნით საკუთარი სინდისი.

იმიტაციისა და იდენტიფიკაციის მსგავსად, სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობები დიდხანს ნარჩუნდება ადამიანის სულში. მაგალითად, თუ პატარა გოგონა დასაჯეს იმისათვის, რომ იგი მეზობლის ბიჭთან „ეკიმობანას“ თამაშობდა, მაშინ, შესაძლებელია, როდესაც გაიზრდება, მისთვის სექსი რაღაც დროის განმავლობაში სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობებთან აღმოჩნდეს დაკავშირებული.

სოციალიზაცია: ერთი პროცესი თუ რამდენიმე?

ოთხი ფსიქოლოგიური მექანიზმის – იმიტაციის, იდენტიფიკაციის, სირცხვილისა და დანაშაულის – ანალიზი ბავშვების სოციალიზაციის პროცესის შესახებ ზოგად წარმოდგენას გვაძლევს. ახლა კი განვიხილოთ, როგორ ზემოქმედებენ მასზე კლასობრივი, რასობრივი, ეთნიკური და კულტურული განსხვავებულობანი.

კლასობრივი განსხვავება. იტალიური და ამერიკული ოჯახების მეღვინე კონის მიერ ჩატარებულმა კროს-კულტურულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ კლასობრივი განსხვავება

სერიოზულ გავლენას ახდენს სოციალიზაციის პროცესზე. საზოგადოების საშუალო ფენებიდან გამოსულ მშობლებს ავტორიტეტისა და ძალაუფლებისადმი მოქნილი და რბილი დამოკიდებულება აქვთ. ისინი თავიანთ ბავშვებს ასწავლიან ფაქტების გააზრებას და გადაწყვეტილების მიღებისას პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას, ასევე ახალისებენ



მეტოქეობისა და შეჯიბრებითობის მათეულ უნარებს. მუშების ოჯახში ამჯობინებენ ბავშვებს ჩაუნერგონ გარეგანი ავტორიტეტისა და ძალაუფლებისადმი მორჩილების მზაობა; აქ დიდ მნიშვნელობას აძლევენ თავაზიანობისა და მორჩილების დამაჯერებლობას. მუშათა ოჯახის დედები თვლიან, რომ მამის როლი ოჯახში ძირითადად დისციპლინისა და წესრიგის დამყარებაში გამოიხატება; საშუალო ფენის ოჯახის დედებს კი მიაჩნიათ, რომ მამები პირველ რიგში თავიანთ ოჯახებზე და არა თავისი ძალაუფლების გამოვლენაზე უნდა ზრუნავდნენ.

სოციალიზაციაზე გავლენის მქონე ამ კლასობრივი განსხვავების მიზეზთა გამოსავლენად, კონმა საშუალო ფენისა და მუშათა კლასის წარმომადგენლების საქმიანობის სპეციფიკა გააანალიზა. მან დაადგინა, რომ მამები, რომლებიც თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლები, მაგალითად მოქანდაკე ან რეპორტიორი იყვნენ, როგორც წესი, ისწრაფოდნენ თავიანთ შვილებში ინიციატივიანობისა და თავისუფალი აზროვნებისაკენ მისწრაფება აღეზარდათ. მამები კი, რომლებიც მკაცრი კონტროლის ქვეშ მუშაობდნენ, მაგ. ამწყობი ხაზების მუშები, ბავშვებში კონფორმიზმისაკენ მიდრეკილების განმტკიცებას უწყობდნენ ხელს. მსგავსი განსხვავება აგრეთვე დამახასიათებელია მამებისათვის, რომლებიც ერთი მხრივ გონებრივი, ხოლო მეორე მხრივ – ფიზიკური შრომით არიან დაკავებულნი. კონფორმიზმისა და თავისუფალი აზროვნებისადმი დედების დამოკიდებულებამათი ქმრების სამუშაოს ხასიათთან მჭიდრო კავშირი აჩვენა. კონმა დაასკვნა: მცირე განსხვავება იტალიურ და ამერიკულ შერჩევებს შორის აიხსნება იმით, რომ კლასობრივი კუთვნილების გავლენა სოციალიზაციაზე კულტურული ფაქტორების გავლენას აღემატება.

XX საუკუნის 30-იან წლებში ამერიკული ოჯახების ჩატარებულმა გამოკვლევებმა სოციალიზაციის პროცესზე კლასობრივი განსხვავებების ზემოქმედების შესახებ დამატებითი მონაცემები მოგვცა. ღარიბ ოჯახებში გაზრდილი ბავშვები უფრო მეტად ცდილობდნენ თავად გამოემუშავებინათ საჭირო თანხები და დამოკიდებულნი არ ყოფილიყვნენ მშობლებზე, ვიდრე შეძლებული და მდიდარი ოჯახებიდან გამოსული ბავშვები. გარდა ამისა, ოჯახებში, სადაც მამა დიდი ხნის განმავლობაში უმუშევარი იყო, ჩვეულებრივ იზრდებოდა დედის ავტორიტეტი. იმავე დროს ძლიერდებოდა თითოეული სქესისათვის დამახასიათებელი როლების შესაბამისი სოციალიზაცია: ბიჭები სამუშაოდ მიდიოდნენ, გოგონები კი სახლებში რჩებოდნენ და ოჯახურ საქმიანობას ეწეოდნენ. ასეთი ღარიბი ოჯახებიდან გამოსული ბავშვები უპირატესობას დედებს აძლევენ და ოჯახური კონფლიქტების დროს დედის მხარეს დგებიან.

რასობრივი და ეთნიკური განსხვავებები. კონმა (1969) აღნიშნა, რომ გარდა კლასობრივი განსხვავებისა, სოციალიზაციაზე გავლენას რელიგია და რასა ახდენდა. მის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ კათოლიკების ოჯახში დედები უფრო მეტად ეწევიან კონფორმიზმის მხარდაჭერას და ახალისებენ მისდამი დამოკიდებულებას, ვიდრე პროტესტანტების ოჯახებში.



ზუსტად ასევე ზანგურ ოჯახებში მამები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ კონფორმიზმს, ვიდრე თეთრები.

თუმცა ზანგი მამები მაღალ შეფასებას აძლევენ კონფორმიზმს, მათ ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე უჩნდებათ დამოუკიდებლობის მიდრეკილება. ზანგური გეტოს ბავშვებში მკვლევარებმა უფროსებისადმი გასაოცარი უპატივცემლობა აღმოაჩინეს. ბავშვებსა და ზრდასრულ ადამიანებს შორის პოზიტიური დამოკიდებულებების არარსებობა იყო ზანგი ბავშვების ძალიან ადრეული დამოუკიდებლობის მიზეზი: „ბავშვებს შეეძლოთ თავისუფლად ემოძრავათ ქუჩებში უფროსების ზედამხედველობის გარეშე; ასევე მშვიდად შეეძლოთ შერეოდნენ ნარკომანების, ლოთებისა და დამნაშავეების ბრბოებს, მათ არ აშინებდათ მანქანებისა და მოტოციკლეტების სიმრავლე; ისინი თვითონ დადიოდნენ მაღაზიებში და ასრულებდნენ ზოგიერთ ოჯახურ ვალდებულებებს – ამზადებდნენ სადილებს, უვლიდნენ უმცროს და-ძმებს, გვიდნენ ოთახებს. მათ იცოდნენ, თუ რა შეიძლება და რა არ შეიძლება ვუთხრათ სოციალური სამსახურის მუშაკებს, პოლიციელებს და ფინანსურ ინსპექტორებს. ჰარლემის ბავშვები ყველაფერ ამას დამოუკიდებლად აკეთებდნენ და ძალიან ცოტათი იყვნენ უფროსებზე დამოკიდებულნი“ (სილვერსტაინი, კრეიტი 1975).

რამდენადაც ეს ბავშვები უხეში ჩანდნენ და ხელისუფლებისადმი უნდობლობასაც გამოხატავდნენ, ამდენად მათ ავიწროებდნენ და მათ არსებობას სკოლაში უგულვებელყოფდნენ, ამის გამო ისინი ცალ-ცალკე ჯგუფებად იყრიდნენ თავს; აქედან წარმოიშობოდა კიდევ უფრო დიდი რასობრივი განსხვავება შავი და თეთრკანიანი ბავშვების სოციალიზაციაში.

კულტურული განსხვავება. არაფერი გასაოცარი არ არის იმაში, რომ განსხვავებული კულტურების საფუძველზე ჩამოყალიბდა სოციალიზაციისადმი ორიგინალური და თავისებური მიდგომები. ეს შეიძლება ერთი მაგალითით ავხსნათ.

მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც აშშ და იაპონია ერთმანეთს ეომებოდნენ, ცნობილმა ანთროპოლოგმა რუთ ბენედიქტმა შეისწავლა ბავშვების აღზრდის წესები აშშ-ში და იაპონიაში. მისი გამოკვლევა დამყარებული იყო მხატვრული ლიტერატურიდან, ბავშვების აღზრდის სახელმძღვანელოებიდან, გამოქვეყნებული დღიურებიდან და ა.შ. ამოღებულ მასალებზე (რასაკვირველია მას არ შეეძლო იაპონიაში წასვლა, რათა უშუალოდ აეღო ინტერვიუ და დაკვირვებოდა მშობლებსა და ბავშვებს რეალური ცხოვრების სიტუაციებში), მიუხედავად ამისა, მან შეძლო საინტერესო დასკვნების გაკეთება.

აშშ-ში პატარას თითქმის დაბადებისთანავე აჩვენებენ მეტ-ნაკლებად მკაცრ დისციპლინას. ნათლად დადგენილია ბავშვის ძილისა და კვების რეჟიმი; კვებისათვის დანიშნულ დროზე ადრე გაღვიძებული პატარა იძულებულია ელოდოს, სანამ მშობლები არ დაიწყებენ მის გამოკვლას. ხშირად ისინი არც კი დახედავენ ბავშვებს დადგენილ დრომდე. განსაზღვრულ



ასაკში ბავშვებს თავს ანებებინებენ ძუძუთი კვებას ან საწოვარას და ასწავლიან სხვა საკვების მიღებას. იაპონიაში კი, პირიქით, პატარას კვებავენ ძუძუთი ნებისმიერ დროს, როდესაც ის მშიერია. უკვე დაბადებიდან ერთი თვის შემდეგ დედა ყველგან დაატარებს პატარას, თვით აბაზანაში ბანაობისასაც კი. პატარას ძუძუს ჩვეულებრივ მაშინ ანებებინებენ თავს, როდესაც მეორე პატარა იბადება. მხოლოდ მონღოლების ფიზიოლოგიური პროცესების საკითხებში ორივე კულტურა თითქოსდა ცვლის ადგილებს; აშშ-ში პატარას უფლებას აძლევენ ჩაისველონ მთელი პირველი წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც იაპონიაში უკვე პირველი თვეებიდანვე აჩვენებენ ფიზიოლოგიური პროცესების საჭიროების მოთხოვნას. თუ პატარამ ვერ შეასრულა მოთხოვნა, ჩაასველა ან ჩაისვარა, მას დედას აღარ აკარებენ მანამ, სანამ სასურველ შედეგს არ მიიღებენ. სოციალიზაციის მნიშვნელოვანი ასპექტია სექსუალური როლების ათვისება. როგორც მე-11-ე თავში გავიგებთ, სექსუალური როლების შინაარსი განსხვავებულია სხვადასხვა კულტურებში. თუმცა კულტურათა უმრავლესობაში გოგონები უნდა იყვნენ კეთილად აღზრდილნი, მორჩილნი და თავაზიანი, ხოლო ბიჭები დამოუკიდებლობისა და წარმატებისაკენ უნდა ისწრაფვოდნენ, სინამდვილეში სექსუალური როლები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მრავალსახეობით გამოირჩევიან. განსხვავება მათ შორის ისეთი ფაქტორებითაა განპირობებული, როგორებიცაა საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა, ოჯახის სიდიდე, კულტურის იდეები.

ეკონომიკურად განუვითარებელ საზოგადოებებში, სადაც ყველაფერი ფიზიკურ შრომაზეა დამოკიდებული და ადამიანები ძირითადად ნადირობით ან მეცხოველეობით, მარცვლეულის მოყვანით არიან დასაქმებულნი, შრომის დანაწილება ქალებსა და კაცებს შორის ტრადიციულ სტანდარტებს სავსებით შეესაბამება.

საზოგადოებებში, სადაც ოჯახები დიდ ჯგუფებად არის წარმოდგენილი, კაცისა და ქალის როლი მკაცრად არის განსაზღვრული. ეს განსაკუთრებით ნათლად ვლინდება იმ საზოგადოებებში, სადაც კაცს რამდენიმე ცოლი ჰყავს. თუ ერთი მათგანი ავად არის ან ამა თუ იმ მიზეზით არ იმყოფება ოჯახში, მისი ვალდებულებები შეუძლია სხვა ქალმა აიღოს თავის თავზე. ამიტომ კაცებს არ სჭირდებათ ეგრეთწოდებული ქალის საქმის შესრულება. ჩვენს საზოგადოებაში კი ჭარბობს პატარა, ნუკლეარული ოჯახები, ამიტომ მამაკაცებმა და ქალებმა, ქმარმა და ცოლმა ერთმანეთს უნდა დაეხმარონ, თუნდაც ძალიან მცირედ მაინც, რადგან ოჯახის ერთერთი წევრის შეცვლა არავის არ შეუძლია.

შემთხვევები, როდესაც სოციალიზაცია წარუმატებელია

მიუხედავად სოციალიზაციის პროცესზე გავლენის მქონე ფაქტორების არსებობისა, იგი მოძრავ მიზანზე სროლას გვაგონებს, რომელიც ყოველთვის ვერ ხვდება მიზანში, მაგრამ



ვერემდგარი სოციალიზაციის ერთი შემთხვევა შეიძლება უფრო სერიოზული იყოს, ვიდრე დანარჩენი.

ზოგიერთი სოციოლოგი თვლის, რომ არსებობს დამოკიდებულება წარუმატებელ სოციალიზაციასა და ფსიქიკურ დაავადებებს შორის. ლენარდმა და მისმა კოლეგებმა გამოავლინეს კავშირი ოჯახში დამკვიდრებულ კომუნიკაციის წესებსა და შიზოფრენიას შორის. მათ შეისწავლეს კომუნიკაციის ორი განსხვავებული წესი (ხერხი): შინაგანი და გარეგანი. გარეგანი კომუნიკაცია გულისხმობს უცხო პირებთან დამოკიდებულებას – ურთიერთობას, აგრეთვე მშობლებსა და ბავშვს შორის. ტელევიზორის ვარსკვლავის ან მეზობლად მცხოვრები ოჯახის შესახებ საუბარი, გარეგანი კომუნიკაციის მაგალითად უნდა ჩავთვალოთ. შინაგანი კომუნიკაცია ეხება მშობლებისა და ბავშვების გრძნობებს, აზრებს და სულიერ განცდებს. შინაგანი კომუნიკაციები შედგებიან გამოთქმებისა და კითხვებისაგან. მაგ. ერთერთი მშობელთაგანი ეუბნება ბავშვს: “შენ მხოლოდ მაშინ ხარ კარგი, როდესაც ეს შენ ხელს გაძლევს,

შენთვისაა სასარგებლო”, ან „შენ ავად არ გახდები, ნუ შთააგონებ თავს, რომ ავადა ხარ”. ლენარდმა აჩვენა, რომ იმ ოჯახებში, სადაც ბავშვები შიზოფრენიით არიან დაავადებულნი, ჭარბობს ტენდენცია შინაგანი და არა გარეგანი კომუნიკაციებისადმი. იგი ამტკიცებს, რომ აღზრდის ასეთი ტიპი ხასიათდება ბავშვების პირად ცხოვრებაში მშობლების შეჭრით, რაც მათი თვითცნობიერების და საკუთარი გრძნობების კონტროლირების უნარის განვითარებას ხელს უშლის.

კონმა შიზოფრენიასა და სოციოლოგიას შორის კავშირის სხვა ახსნა წამოაყენა. აღნიშნა, რა რომ შიზოფრენია განსაკუთრებით ფართოდ დაბალი კლასების წარმომადგენელთა შორისაა გავრცელებული, მან ივარაუდა, რომ იგი ამ კლასისათვის დამახასიათებელი სოციალიზაციის მეთოდებითაა განპირობებული. ბავშვებს, დაბალი ფენებიდან, უფრო დიდი ხარისხით არჩევენ სხვა ადამიანებისადმი მორჩილებას, ამიტომ შეიძლება მარტივი წარმოდგენა შეექმნათ ავტორიტეტისა და რეალური ცხოვრების ზოგიერთი სხვა ასპექტის შესახებ. და როდესაც მათ პირად ცხოვრებაში ხდება კრიზისი, რომლის გადალახვა ათვისებული წესების დახმარებით შეუძლებელია, ისინი სულით ეცემიან და სრულებით უუნარონი ხდებიან გაუძლონ სტრესს. კონი ამტკიცებს, რომ შიზოფრენიის ისეთი სიმპტომები, როგორცაა რეალობის შესახებ მარტივი, რიგიდული წარმოდგენა, შიში და ეჭვიანობა, სხვის ადგილზე საკუთარი თავის დაყენების და წარმოდგენის უუნარობა, არის კონფორმიზმისაკენ მიდრეკილი პიროვნების ჰიპერტროფირებული ნიშნები.

სოციალიზაციის „წარუმატებლობა“ ან „წარმატება“ შეიძლება მისი განხორციელებისათვის გამოყენებულ მეთოდებზე იყოს დამოკიდებული. სოციოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ სოციალიზაციის პროცესში გამოყენებული მეთოდები ადამიანთა მიერ საზოგადოდ მიღებული ღირებულებების ათვისების მზაობაზე ზემოქმედებენ. მაგალითად, ახალგაზრდა



ადამიანების მიდრეკილება წინააღმდეგობა გაუწიოს ან მხარი დაუჭიროს ისტებლიშმენტს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებენ ისინი მშობლების მხრიდან დახმარებას ან კონტროლს. მოზარდები (თინეიჯერები), რომელთაც მშობლები ცოტას ეხმარებიან, და ამავე დროს ბოროტად იყენებენ თავის ძალაუფლებას (პირველ რიგში ეს მამებს ეხება), ხშირად ნონკონფორმისტები ხდებიან. რელიგიის საკითხებში მრავალი მათგანი ცდილობს საზოგადოებაში მიღებულ ღირებულებებს დაუპირისპიროს თავისი პირვანდელი პრინციპები. თინეიჯერები კი, რომლებიც აცნობიერებენ, რომ მშობლები ერთდროულად ეხმარებიან და აკონტროლებენ კიდევ მათ, უფრო მეტად მისდევენ ტრადიციულ რელიგიურ რწმენებსა და შეხედულებებს და არსებული მდგომარეობის, ანუ სტატუს-კვოს შენარჩუნებას ესწრაფვიან.

გავეცანით რა წარუმატებელი სოციალიზაციის პრობლემას, ჩვენ ამით დავამთავრეთ მისი შესწავლა. ამ თავის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა, თუ მისი ღირებულების და ნორმების ათვისება არ მოხდება მისი ახალი წევრების მიერ. მაგრამ სოციალიზაცია არასდროს არ შეიძლება ასი პროცენტით ეფექტური იყოს. ბავშვები წინააღმდეგობას უწევენ უფროსთა ძალისხმევებს და ცვლიან ამით სოციალიზაციის პროცესს თავიანთი განვითარების მრავალ ეტაპზე. ზოგჯერ სოციალიზაცია სრულ კრახს განიცდის. ეს შეიძლება განსხვავებულ ფორმებში მოხდეს – შიზოფრენიიდან ექსცენტრიულობამდე ან საზოგადოების მოთხოვნილებისადმი ღია წინააღმდეგობის, მისი ღირებულებებისა და

ნორმების წინააღმდეგ პროტესტის ფორმებით. მაგრამ ასეთი წარუმატებლობანი შეიძლება მომავალი თაობების ცხოვრებაში სოციალური ცვლილებების საფუძველიც კი გახდეს.

მოკლე შინაარსი

1. სოციალიზაციას ე.ი. გზებსა და საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები იძენენ გამოცდილებას და ითვისებენ მათი სოციალური როლების შესაბამის განწყობებს, ნორმებს და ღირებულებებს, ორი მიზანი აქვს: ხელი შეუწყოს სოციალური როლების საფუძველზე ჩვენს ურთიერთობებს, და ამ საზოგადოების სხვა წევრთა მიერ მასში არსებული ქცევისა და მოქმედების წესებისა და ნიმუშების ათვისების წყალობით საზოგადოების არსებობა უზრუნველყოს.

2. ადამიანებს თითქმის არ აქვთ ქცევის თანშობილი მოდელები, მაგრამ მათ რთული ჩვევების (მაგალითად ენის) ათვისების უნარი ყველა ცოცხალ არსებაზე მეტად ახასიათებთ. კულტურული ღირებულებები – დაწყებული კანონებიდან კარგი ტონის დაუწერელი წესებით დამთავრებული – ადამიანთა ქცევებსა და მისწრაფებებს არეგულირებენ.



3. სოციოლოგები ამტკიცებენ, რომ გენეტიკური მიდრეკილებების ერთობლიობა ხელს უწყობენ ან აკავებენ ჩვენი ქცევების მიმდინარეობას. ამ თვალსაზრისის შესაბამისად ქცევის ისეთი ტიპები, როგორებიცაა ალტრუიზმი, გაპირობებულია იმით, რომ ისინი ხელს უწყობენ სახეთა გადარჩენას, არსებობას, მაშინ როდესაც სისხლის აღრევა ამას ზიანს აყენებს. კრიტიკოსები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არ არსებობს რაიმე დასაბუთება იმისა, რომ ქცევის განსაზღვრული სახეები გენეტიკურად არიან განპირობებულნი. ეს თეორია არ ითვალისწინებს იმას, რომ ადამიანთა ქცევებზე დიდ გავლენას სიმბოლოთა გამოყენებისა და ბჭობა-გააზრების უნარი ახდენს.

4. ისეთ ფაქტორთა ურთიერთობა, როგორებიცაა ადამიანის ფიზიკური თვისებები, გარემო, ინდივიდუალური გამოცდილება და კულტურა ქმნიან კიდევ უნიკალურ პიროვნებას. ჩ. კული თვლიდა, რომ პიროვნება ყალიბდება `სარკისებური მე-ს წყალობით, ანუ იმის ინტერპრეტაციის მეშვეობით, რასაც ჩვენზე ფიქრობენ, ამბობენ, გრძნობენ სხვები. ჯ. მიდის თანახმად პიროვნების ფორმირების პროცესი სამ სტადიას მოიცავს: 1) იმიტაცია, ანუ ბავშვების მიერ ზრდასრულთა ქცევების კოპირება, 2) თამაშის სტადია, როდესაც ბავშვები ადამიანების ქცევებს როგორც როლების შესრულებას აღიქვამენ, 3) ჯგუფური თამაშის სტადია, როდესაც ბავშვები ადამიანთა მთელი ჯგუფის მოლოდინებს აღიქვამენ.

5. ფროიდის მიერ შემოთავაზებული, პიროვნების განვითარების თეორიის თანახმად, პიროვნება სამ ელემენტს მოიცავს: იდ-ს(იგი), ენერგიის წყაროს რომელიც სიამოვნებისაკენ მისწრაფებით იკვებება; ეგო-ს, რომელიც „რეალობის პრინციპის“ საფუძველზე პიროვნების ქცევებს აკონტროლებს და „სუპერეგოს“(ზე-მეს) - რომელიც ზნეობრივ და შეფასებით ფუნქციებს ასრულებს. პიროვნების ამ სამი ელემენტის ფორმირება ოთხი სტადიის: ორალურის, ანალურის, ფალოსურისა და სქესობრივი სიმწიფის სტადიების თანმიმდევრულ გავლას გულისხმობს.

თითოეული მათგანი სხეულის განსხვავებულ ნაწილთანაა დაკავშირებული, რომელსაც ეროგენულობას უწოდებენ.

6. პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის თანახმად, ბავშვები გადიან თანამედროვე სტადიების რიგს, რომელთა პროცესში ისინი იმ ახალ უნარებს ითვისებენ, რომლებიც განსაზღვრავენ მათთვის შესაძლებელი შემეცნების საზღვრებს. სტადიები ერთმანეთის მკაცრი თანმიმდევრულობით ცვლიან:

ა) სენსომოტორული (დაბადებიდან ორ წლამდე);

ბ) ოპერაციონალური (ორიდან შვიდ წლამდე);

გ) კონკრეტული ოპერაციების სტადია (შვიდიდან თერთმეტ წლამდე) და დ) ფორმალური ოპერაციების სტადია (თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე).



7. კოლბერგი პიროვნების განვითარების თავის თეორიას ზნეობრივი

სრულყოფილების პროცესებზე აფუძნებს, რომლებიც ექვსი სტადიისაგან შედგება. ადრეულ სტადიებზე ბავშვები ისწრაფვიან აიცილონ დასჯა ან დაიმსახურონ ჯილდო, წახალისება. შუა სტადიებზე ადამიანები უკვე აცნობიერებენ სხვების აზრს მათს შესახებ, საზოგადოების მოლოდინებს და ამ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ქცევის წესებს. უკანასკნელ, ბოლო სტადიებზე ხდება პიროვნების ზნეობრივი პრინციპების ჩამოყალიბება, რომლებიც უკვე საყოველთაოდ მიღებულ ღირებულებებზე აღარ არიან დამოკიდებულნი.

8. ბრიმი კი თვლის, რომ სოციალიზაციის პროცესი გრძელდება ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე, ზრდასრულთა სოციალიზაცია შემდეგი თავისებურებებით განსხვავდება ბავშვთა სოციალიზაციისაგან: ზრდასრულთა და მოწიფულთა სოციალიზაცია – ეს ძირითადად გარეგანი მოქმედებების ცვლილებაა, მაშინ როდესაც ბავშვის სოციალიზაციის პროცესში ხდება ღირებულებითი ორიენტაციების ფორმირება. ზრდასრულებს ძალუძთ ნორმების შეფასება, ბავშვებს კი მხოლოდ მათი ათვისება ძალუძთ. ზრდასრულთა სოციალიზაციას მიზნად აქვს დაეხმაროს ადამიანს დაეუფლოს უნარ-ჩვევებს. ბავშვების სოციალიზაცია უფრო მეტად მოტივაციის სფეროს ეხება.

9. სოციალიზაციისადმი ადაპტაციური მიდგომის თანახმად, ზრდასრული ადამიანების სიცოცხლე მოიცავს მოსალოდნელ და მოულოდნელ კრიზისთა მთელ რიგს. მაგ. პენსიაზე გასვლა, ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილი. ადამიანმა უნდა იპოვოს შექმნილი შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი და შეეგუოს მას. საწინააღმდეგო თვალსაზრისს იცავენ ევოლუციური მიდგომის მომხრეები, რომელთა თანახმადაც კრიზისების გადალახვის წყალობით ხდება პიროვნების შემდგომი სრულყოფა. მაგალითად, ერიქსონმა დაამუშავა – შეიმუშავა პიროვნების განვითარების თეორია, რომელიც რვა სტადიას ითვალისწინებს, რომელთაგან სამი ზრდასრულ ადამიანებს ეხებათ. ინდივიდის სიცოცხლის ყოველ სტადიაზე წარმოიქმნება განსაზღვრული კრიზისი ან შოკი; ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლა ხდება ამ კრიზისის გადალახვის შედეგად.

10. იმ ბავშვთა კვლევა, რომლებიც ძუძუმწოვრების წლებში მოკლებულნი იყვნენ მშობელთა ზრუნვას, ადასტურებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ახლობელ ადამიანთან კონტაქტი ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის. ჰოსპიტალიზმი (ე.ი. ბავშვთა სახლების ყაზარმული გარემოების საზიანო ზემოქმედება, სადაც ბავშვები მოკლებულნი არიან სიყვარულსა და მოფერებას). ასევე დამლუპველად მოქმედებს ბავშვებზე. ამ დაწესებულებებში შეინიშნება ბავშვთა ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის მაღალი დონე, ისინი ჩამორჩებიან ასევე ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაშიც. მაიმუნების ნაშიერებზე დაკვირვებებმაც კი აჩვენა, რომ თბილი ურთიერთობები უფროსი ასაკის მაიმუნებთან სოციალიზაციის მძლავრი ფაქტორია.



11. სოციალიზაციის აგენტებს შორის აღსანიშნავია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სკოლების როლი. ზოგიერთი სატელევიზიო პროგრამა აფართოებს ბავშვების შემეცნებით უნარებს, მაშინ როდესაც ზოგიერთმა გადაცემამ შეიძლება უარყოფითი ქცევების სტიმულირება გამოიწვიოს. აზიარებს რა ისეთ ღირებულებებს, როგორცაა პატრიოტიზმი, სკოლა ამზადებს მათ საზოგადოების სხვა ღირებულებების ასათვისებლად.

12. ოთხი ფსიქოლოგიური მექანიზმი გვეხმარება გავიგოთ თუ როგორ ხდება ბავშვების სოციალიზაცია. იმიტაცია ეწოდება ბავშვის გაცნობიერებულ მისწრაფებას მიბადოს მშობლებსა და მასწავლებლების ქცევებს, რომლებიც მისთვის სანიმუშოა. იდენტიფიკაცია – ესაა ბავშვების მიერ მშობლებისა და სხვა ადამიანების ცხოვრებისეული პოზიციების ათვისების პროცესი. სირცხვილი და დანაშაულის გრძნობა (ბრალი) წარმოადგენს უარყოფით მექანიზმებს, რომლებიც კრძალავენ განსაზღვრულ ქცევებს ან თრგუნავენ მას.

13. მ. კონის კროს-კულტურულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საზოგადოების საშუალო ფენებიდან გამოსული მშობლები ხელს უწყობენ და ახალისებენ თავიანთ ბავშვებში ინიციატივიანობას და თავისუფალ აზროვნებას, მაშინ როდესაც მუშების შვილები კონფორმიზმის სულისკვეთებით იზრდებიან. გარდა ამისა, ამ გამოკვლევის შედეგად აღმოჩენილ იქნა, რომ კათოლიკეთა ოჯახში დედები უფრო მეტად აფასებენ კონფორმიზმს, ვიდრე პროტესტანტთა ოჯახებში. ზანგური წარმოშობის მამები უფრო მეტად შთააგონებენ თავიანთ შვილებს კონფორმიზმს, ვიდრე თეთრკანიანი მამები. სოციალიზაციის პროცესში არსებულ განსხვავებებზე გავლენას კულტურის თავისებურებანი ახდენენ.

კითხვები:

1. რა არის სოციალიზაცია?
2. დაახასიათეთ სოციალიზაციის ბიოლოგიური და კულტურული კონტექსტი.
3. დაახასიათეთ პიროვნების განვითარების თეორიები.
4. ჩამოთვალეთ კოგნიტური განვითარების სტადიები.
5. განსაზღვრეთ რესოციალიზაციის ცნების შინაარსი.
6. დაახასიათეთ ხანდაზმულთა სოციალიზაციის არსი.
7. ჩამოთვალეთ სოციალიზაციის აგენტები.
8. რა არის დეპრივაცია?
9. რას ნიშნავს ჰოსპიტალიზაცია?
10. რა შემთხვევებში აქვს ადგილი წარუმატებელ სოციალიზაციას?
11. რით განსხვავდება ზრდასრულთა სოციალიზაცია ბავშვთა სოციალიზაციისაგან?